ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 29 მარტი, 2019 №74 (8028) ფასი: 60 თეთრი

## სროლა ვაკეში




თ.ნ.-მ მოქალაქეს მობილური წაართვა და მიიმალა

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა სალალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „ლევან ვასაძე „ქართულ ოცნებას" ხმებს წაართმევს"




გამიხარდება, თუ გაერთიანებულ ოპოზიციას ვინმე შემოუერთდება. მე რამდენადაც ვიცი, ირაკლი ოქრუაშვილიც სწორედ ამ ოპოზიციურ მიმართულებაზეა და ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ჩემში მხოლოდ კმაყოფილებას იწვევს. ეს ადამიანები ცდილობენ, ქვეყანა წინ წაიყვანონ.

## მამუკა გამყრელიძე: „არ მჯერა, რომ დავით მაღრაძე ივანიშვილს განუდგა"






## ვინ ცდილობს გახარიას მოშორებას?

„ეკა ბესელია და ზვიად კვაჭანტირაძე სალომე ზურაბიშვილთან გაერთიანდებიან"

## ამირან სალუქვაძე: „სპეცსამსახურები ანტიტერორისტული კუთხით კარგად მუშაობენ"




„ოკუპაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს ერთად დგომით უნდა დავუპირისპირდეთ და არა – კინკლაობით"

## ირაკლი კობახიძე მანიაკია?







## სოსო ცინცაძე: „კალაძე პოლიტიკოსი არ არის. ის ხალხს დასცინის"

სამართალი გვ.7



## მინისტრ ქობულიას სახლის გაქურდვისთვის 1 პირი დააკავეს



## გია ვოლსკის სახლი გაქურდეს

## სუსი: „საქართველოში „დაეშის" გავლენა შემცირდა"




## „კობახიძის გუნდი „ოცნების" საარჩევნო სიაში ველარ მოხვდება"

ვახტანგ ძაბირაძე: „მმართველ პარტიაში დაპირისპირება უფრო გამწვავდება"




ეკონომიკა გვ.6



## თამაზ გაიაშვილი: „თუ სახელმწიფომ ავიაკომპანიებს ყურადღება არ მიაქცია, ვერანაირი გენერალური დირექტორი ვერ გვიშველის"



## გიორგი ქობულია: „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის 1 აპრილიდან საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი ამოქმედდება"

ISSN 1987-9385

5 ჯემალ გამახარია: „ცხინვალის რეგიონში უფრო საშიში ვითარებაა, ვიდრე აფხაზეთში"

6 ლაშა პაპაშვილი „ვაკის საცურაო აუზის" ყიდვას გეგმავს

7 პოლიციამ მარნეულის საკრებულოს ნაციონალი წევრი დააკავა

7 მორჩხუბარი ახალგაზრდების გაშველებისას 2 პოლიციელი დაშავდა

# ვინ ცდილობს გახარიას მოშორებას?

## „ეკა ბესელია და ზვიად კვაჭანტირაძე სალომე ზურაბიშვილთან გაერთიანდებიან“

შორენა მარსაგიშვილი



ვინ აწყობს გახარიას წინააღმდეგ შეთქმულებას, ჩაანაცვლებს თუ არა სოლოლაკელ ბატონს კიკეთელი ბატონი, რას გეგმავენ „ოცნებიდან“ წასულები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი **გოჩა მირცხულავა** ესაუბრება.

***– ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ლევან ვასაძე აპირებს პოლიტიკაში შემოსვლას და ამაზე ის ივანიშვილს უკვე შეუთანხმდა. შემოვა ვასაძე პოლიტიკაში?***

– ლევან ვასაძე უკვე შემოსულია პოლიტიკაში. ჩემი ინფორმაციით, კიკეთში მდებარე მის სასახლეში ხშირად დადიან სასულიერო პირები და რუსეთიდან კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებად ჩამოსული პერსონები. კიკეთის სასახლეში დადიან საქართველოს საპატრიარქოსთან დაახლოებული პირები და საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები.

ამ ადამიანთან დაკავშირებით ასეთი მოცემულობა გვაქვს, რა იქნება მის თავს მომავალში, ამას გადაწყვეტს გრუ და არა თავად ვასაძე. ამის მიუხედავად, ის ამ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებს რუსეთის სასარგებლოდ, რასაც ქართული პატრიოტული მოტივებით ფუთავს.

***– თუ არის იმის ალბათობა, რომ დროთა განმავლობაში კიკეთის სასახლის ბატონმა, ვასაძემ, სოლოლაკის სასახლის ბატონი, ივანიშვილი, ჩაანაცვლოს?***

– ეს გამორიცხულია. ივანიშვილი და ვასაძე სხვადასხვა წონის ფიგურები არიან. ეს უკანასკნელი იქნება მხოლოდ შემსრულებელი, მიუხედავად იმისა, გარეთ გამოვა თუ კულისებში დარჩება. ვასაძეს იგივე წონა არასდროს ექნება, რაც ივანიშვილს 2012 წელს ჰქონდა.



რაღაც კონკრეტულ ეპიზოდში ის შეიძლება პროცესების ლიდერად მოგვევლინოს, მაგრამ ვერასდროს გახდება იმ დონის ფიგურა, როგორებიც იყვნენ გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი.

***– ვასაძის ამბები გავარკვიეთ, ივანიშვილთან რა ამბებია? მისგან წასულები ახალ-ახალ მოძრაობებს ქმნიან. მართლა დაუპირისპირდა ეს ხალხი „ოცნების“ ლიდერს?***

– მმართველი პარტიის წიაღში მყოფებმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინ დაინახეს, რომ ლიდერს მათ მიმართ დიდი სენტიმენტები არ ჰქონდა.

ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ეს ადამიანები საკმაოდ კომფორტულად გრძნობდნენ თავს. ამ მომენტისთვის ისინი გრძნობენ, რომ 2020 წლისთვის მათი წონა აღარ იქნება ისეთი, როგორც ეს 2012 წელს იყო. შესაბამისად, ყველანაირი ხერხებით ცდილობენ, დაბრუნდნენ პოლიტიკურ სცენაზე.

არ გამოვრიცხავ, რომ ეს განდგომილები სალომე ზურაბიშვილის გარშემო ცალკე გუნდად ჩამოყალიბდნენ. საპარლამენტო არჩევნებზე თუ ისინი საარჩევნო ბარიერს გადალახავენ, არჩევნების შემდეგ ისევ ივანიშვილთან მივლენ. მასთან იმიტომ მივლენ, რომ შემდეგ კოალიციურ მთავრობაში მსუყე ლუკმა დაითრიონ. ისინი საპარლამენტო თანამდებობებსაც უმიზნებენ. ამ ფლანგზე გარკვეული მერკანტილური პროცესი მიდის.

***– არის მოსაზრება, რომ ამ განდგომილების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას. „დაიცავი საქართველოს“ წევრებს უკვე შეარქვეს მოძრაობა „დაიცავი ბიძინა“. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– მოდით, ცალ-ცალკე განვიხილოთ ბესელია-კვაჭანტირაძისა და „დაიცავი საქართველოს“ სეგმენტი.

„დაიცავი საქართველოში“ გაერთიანებულებს ხელისუფლების მიმართ აქვთ პრეტენზიები, მაგრამ არც მათ და არც საზოგადოებას არ სურს ნაციონალების დაბრუნება. მათ იხელთეს დრო და დაიწყეს ივანიშვილის კრიტიკა. „ოცნების“ ლიდერს იმისთვის აკრიტიკებენ, რომ შემდეგ მის კარზე რაც შეიძლება მსუყე ლუკმა დაითრიონ.

### გოჩა მირცხულავა: „ლევან ვასაძე უკვე შემოსულია პოლიტიკაში“

განდგომილებს საკუთარი მიზნები აქვთ და ისინი თავიანთ ლიდერად მხოლოდ ივანიშვილს განიხილავენ. ვერც ერთი მათგანი თავად ვერ გახდება ლიდერი. საამისოდ მათ არც პოლიტიკური კაპიტალი აქვთ და არც ფინანსური.

მათი უმეტესობა პოლიტიკურად გაბანკროტებულია, ჩვენი ამომრჩეველი კარგად იცნობს მათ პოლიტიკურ გემოვნებას და კარგად უწყის, ეს განდგომილები როდის სად შეიძლება აღმოჩნდნენ.

მათ უკან არ დგას „ოცნების“ ლიდერი. ეს მათი დამოუკიდებელი თამაშია. ეს თამაში ივანიშვილის დასარწმუნებლად იქნა წამოწყებული. მათ ლიდერი უნდა დაარწმუნონ, რომ ქართული პოლიტიკა მათ გარეშე წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ბესელია-კვაჭანტირაძეს, ეს გუნდი დაკავშირებულია სალომე ზურაბიშვილთან. პრეზიდენტი უპარტიო ფიგურაა და ქართულ პოლიტიკაში ობოლი ბავშვივით არის, მიუხედავად იმისა, რომ ის „ოცნებამ“ გააპრეზიდენტა.

ამ ადამიანს ახლა სჭირდება პოლიტიკური დასაყრდენი. იდეების რეალიზებისთვის პარლამენტში თავისი ხალხი უნდა ჰყავდეს. ახლა მთავრობაშიც კი არ ჰყავს მოკავშირეები, თუნდაც საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამ მიმართულებით პრეზიდენტს საკმაოდ წონადი ფუნქციები და ვალდებულებები აქვს.

ამ მიმართულებით ქალბატონი ზურაბიშვილი ძალიან გზააცდენილად დადის. ამას მისი ამიერკავკასიის ტურიც ადასტურებს.

***– რას გულისხმობთ გზააცდენილობაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაკეთებულ განცხადებებს?***

– დიახ. სამი ათეული წელია, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ვახერხებთ ურთიერთობების დალაგებას. ქალბატონმა ზურაბიშვილმა ეს ყველაფერი ერთი ვიზიტით არია.

ამიერკავკასიის რეგიონში უსაფრთხოებას ერევანთან და ბაქოსთან კულუარული შეთანხმებები განაპირობებდა. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა ეთნოსების მშვიდად ცხოვრებას. სალომე ზურაბიშვილმა ამასაც კი საფრთხე შეუქმნა.

ის განცხადებები, რაც მან ბაქოში გააკეთა, კატასტროფა იყო. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები აზერბაიჯანელი ისტებლიშმენტისთვის სასიამოვნო მოსასმენი კი იყო, მაგრამ ნათქვამით ისინიც კი გაოგნებული დარჩნენ.

მან ძალიან მწვავე განცხადებები გააკეთა ერევანშიც. ეს იმის მანიშნებელია, რომ ის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში დამკვიდრებულ წესებს ასცდა.

***– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლების წინ ის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო, ეს წესები უნდა სცოდნოდა.***

– უნდა სცოდნოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასცდა. აშკარაა, რომ ამ ადამიანს საკუთარი პოლიტიკური გუნდი სჭირდება. ეს გუნდი საჭიროა იმისთვისაც, რომ სტრატეგიული მიზნები განახორციელოს.

ამ გუნდის გასაკეთებლად ახლა საუკეთესო დროა, ეკა ბესელია და ზვიად კვაჭანტირაძე კი საუკეთესო კანდიდატურები არიან.

***– რითი არიან საუკეთესოები?***

– ერთთანაც და მეორესთანაც სალომე ზურაბიშვილს კარგი ურთიერთობები აქვს. პრეზიდენტი შეეცდება, რომ 2020 წლისთვის რაღაც გუნდი შექმნას, რომელიც ისევ და ისევ ივანიშვილთან კოლაბორაციონიზმით შეძლებს მიზნების მიღწევას.

ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ „ოცნება“ არჩევნებში მეორე ადგილზე გავა და ზურაბიშვილის გუნდი მესამე ადგილს დაიკავებს. უმრავლესობის შესაქმნელად მათი გაერთიანება აუცილებელი იქნება.

ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი წონიანი გახდება. მას პრეტენზიები გაუჩნდება მინისტრების დანიშვნაზე და საკუთარი თამაშის წამოწყებასაც შეძლებს. მე მიმაჩნია, რომ მას ეს თამაში უკვე წამოწყებული აქვს.







რამდენად შეძლებს ეს გუნდი თავისი მიზნების რეალიზებას, ვერ გეტყვით. აქ ფინანსები იქნება გადამწყვეტი.

***– „ოცნებაში“ დარჩენილებზე რას გვეტყვით, რას იზამენ ისინი?***

– „ოცნების“ ახალგაზრდული გუნდი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი მათ დაეყრდნობა. მათ მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მალე გამოვლენ ამ ეიფორიიდან. „ოცნების“ ლიდერი ძალიან კარგად ხვდება, რომ მმართველი პარტიის მიმართ უარყოფითი განწყობა ძირითადად ამ ხალხის დამსახურებაა.

პარტიის ლიდერმა ისიც კარგად იცის, რომ „ოცნებაში“ დარჩენილ ახალგაზრდების გუნდს თავისი მერკანტილური ინტერესებიც აქვს.

ივანიშვილი ახლა პროცესებს აკვირდება. ვიღაც თავისი ნებით წავა, ვიღაცას გაუშვებს. 2020 წელს ის ამომრჩეველს სულ სხვა „ოცნებას“ შესთავაზებს. სულ სხვა კონფიგურაცია იქნება. ამ შემთხვევაში პერსონებს ვგულისხმობ და არა იდეოლოგიას, რომელიც „ოცნებას“ არც აქამდე ჰქონდა და არც მომავალში ექნება.

***– მმართველ გუნდში სერიოზული ბრძოლა მიდის გახარიას წინააღმდეგ და მოსაშორებლად რაღაცებს უჩალიჩებენ. ისიც კი ითქვა, რომ არჩილ თალაკვაძისა და მინისტრ ქობულიას ბინების გაძარცვა შემთხვევითი სულაც არ ყოფილა.***

– კრიმინალის მატებაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ, თუ გულწრფელები ვიქნებით, საგანგაშო არაფერი ხდება. თალაკვაძისა და ქობულიას სახლების გაქურდვა ახლა ძალიან გვიკვირს, მაგრამ ჩვენ გვქონდა სიტუაცია, როცა არც ისე შორეულ წარსულში უშიშროების საბჭოს მდივანმა საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი. არის ასეთი ვერსიაც, რომ ნუგზარ საჯაია მოკლეს.

ნარატივი, რომ დანაშაულმა მოიმატა, სწორედ გიორგი გახარიას წინააღმდეგ არის მიმართული.

ისე, მედიასაც უნდა ესმოდეს, რომ არსებობს მიზანშეწონილობის საკითხი და ხელისუფლების დასუსტება უამრავი რაღაცით არის შესაძლებელი. მაგრამ დასუსტება ერთია და დისკრედიტაცია – მეორე.

ყველა ჩვენგანს კარგად ახსოვს, თუ როგორ ახდენდა დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციაში ყოფნისას ვანო მერაბიშვილის დისკრედიტაციას. ახლაც თუ იმიტომ ვახდენთ გახარიას დისკრედიტაციას, რომ ხელისუფლება დავაზიანოთ, ერთი რამე უნდა ვიცოდეთ, პირველ რიგში, დავაზიანებთ სახელმწიფოს.

***– სახელმწიფოს რატომ დავაზიანებთ?***

– გამუდმებით თუ იმაზე იქნება საუბარი, რომ აქ მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა, ტურისტები საქართველოში ჩამოსვლას აღარ მოისურვებენ. მათ იოლად ვერც მაშინ ჩამოვიყვანთ, თუ აქ ხელისუფლება შეიცვლება.

ხელისუფლება უნდა ვაკრიტიკოთ, მაგრამ მოზომილი მოქმედებაა საჭირო, რათა სახელმწიფო არ დავაზიანოთ.

გასული წლის ზაფხულში ხადას ხეობაში ამერიკელების ოჯახი დახოცეს და ამას არ მოჰყოლია ისეთი სკანდალი, რაც თალაკვაძის სახლის გატეხას მოჰყვა. აშკარაა, რომ ეს კამპანია გახარიას წინააღმდეგ არის მიმართული.

დანაშაულის პრევენციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს იუსტიციის სამინისტრომ. ამ უწყებას რატომ არავინ აკრიტიკებს ასე მწარედ, იმიტომ, რომ გახარია არ არის იუსტიციის მინისტრი?

მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ახლა სრულად ხდება დანაშაულის აღრიცხვა. გიორგი მღებრიშვილის დროს მსუბუქ დანაშაულს არც აღრიცხავდნენ.

***– მღებრიშვილის პერიოდში შსს დანაშაულის სტატისტიკას არც კი აქვეყნებდა.***

– მღებრიშვილის დროს შსს-ში უამრავი არაპროფესიონალი მუშაობდა. მისი მინისტრობის პერიოდით საგამოძიებო ჟურნალისტიკა თუ დაინტერესდება, ბევრ სკანდალურ რამეს აღმოაჩენენ. ისეთი სახელები და გვარები შეგხვდებათ, გაოცდებით, ამ ხალხს შსს-ში რა უნდოდაო.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ 3-დღიან ვიზიტებში მღებრიშვილი 1 კვირით მიდიოდა და თან ჰარამხანის დირექტორივით ამალა მიჰყავდა, მისი მინისტრობის დროს კრიმინალსა და მინისტრის ვიზიტებზე ასე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა. რატომ? ერთხელ დავსვი ეს კითხვა და გავარკვიე, რომ ის ექსპერტებსა და მედიის ნაწილს ფულს უხდიდა იმაში, რომ ეს ყველაფერი არ დაეწერათ.

***– ასე ძალიან რატომ უნდათ ვიღაცებს გახარიას მოშორება? იმიტომ ხომ არა, რომ მისი გაპრემიერების ეშინიათ?***

– მის შესაძლო გაპრემიერებაზე დიდი ხანია, საუბრობენ. მისი იმის გამო არ ეშინიათ, რომ ის პრემიერი გახდება, მისი ეშინიათ იმიტომ, რომ ის შინაგან საქმეთა მინისტრია. ვიღაცებს ძალიან უნდათ, რომ ის პოლიტიკური ველიდან გაიყვანონ.

***– ეს ვიღაცები „ოცნებაში“ არიან თუ ოპოზიციაში?***

– იქაც და იქაც. გახარიას დისკრედიტაციას შეეცადა მამუკა ხაზარაძეც, რომელიც ამტკიცებს, რომ მას შს მინისტრმა მუქარის წერილი მისწერა. მართალია, მან ამით შს მინისტრსა და სახელმწიფოს სერიოზული ზიანი მიაყენა, მაგრამ თავადაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. ამ ამბების შემდეგ მას არც ერთი უცხოელი პარტნიორი წერილს აღარ მისწერს და ყველა მოერიდება მასთან ურთიერთობას, რადგანაც დაინახეს, რომ მას შეუძლია, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე სახელმწიფო უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ლევან ვასაძე „ქართულ ოცნებას“ ხმებს წაართმევს“

## მამუკა გამყრელიძე: „არ მჯერა, რომ დავით მაღრაძე ივანიშვილს განუდგა“

ნონა ცაბაძე

ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებზე, გადაჯგუფებებსა და დაპირისპირებაზე „ახალ თაობას“ „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** ესაუბრება.

***– ბატონო მამუკა, მიშა და გრიშა ერთიაო, გითქვამთ და ნათქვამმა ძალიან აღაშფოთა მეგი გოცირიძე, 20 კაცის გამომყვანები არ არიან და თან მიშას გვილანძღავენო. რა ხდება?***

– ჩემი აზრით, აქ ეჭვიანობის მომენტი უფროა ნაციონალური მოძრაობის ნაწილის მხრიდან. კიდევ კარგი, იმ ნაციონალურ მოძრაობაში ბევრი ჭკვიანი და საღად მოაზროვნე ადამიანია. მე საერთოდ არ ვაქცევ ამ ერთი პატარა ჯგუფის გამონათქვამებს ყურადღებას. ეს არის ეგზალტირებული ჯგუფი, რომლებიც ასე ცდილობენ ქულების დაწერას. მე ამისთვის არც მცალია და არც მაინტერესებს, ხოლო იმ გამონათქვამებს რაც შეეხება, ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის, რომ ასეთი გამონათქვამი მაქვს: არ მაინტერესებს მიშა, გრიშა თუ პალიკო კინტრაია. ეს არის ჩვეულებრივი ფრაზა, რომელსაც ხშირად ვხმარობ. აქ არაფერი დასაკნინებელი არ არის. გავატაროთ ეს ამბავი და იმ ადამიანების სინდისზე იყოს, რომლებმაც ამისგან აჟიოტაჟი შექმნე. აქ საქმე სხვა რაღაცაშია.

***– კერძოდ, რაში?***

– მოგახსენებთ. ხელისუფლების მიზანი არის ოპოზიციისა და მთავრობის ბრძოლის დაყვანა და დაკნინება ორი პერსონის დაპირისპირებამდე, მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის. 2012 წლიდან მოყოლებული, ეს თემა მუდმივად ძალაშია, მუდმივად არჩევნების წინ ხდება მისი გააქტიურება და იქ რამდენიმეჯერ გაიმარჯვა ხელისუფლებამ.

***– სწორედ ამიტომ ხომ არ ჩამოსცილდა მიშა პარტიას?***

– არა, არ ჩამოსცილებია. წინა არჩევნებმა აჩვენა, რომ მთლიანად ოპოზიციური სპექტრი უპირისპირდება ხელისუფლებას. ხალხში ამან გამოიწვია ძალიან დადებითი ემოციები და ჩვენ მივიღეთ ძალიან ბევრი ხმა იმასთან შედარებით, რასაც ადრე ვიღებდით, ხოლო ის, რომ მიშა და ბიძინა ერთმანეთს ეჭიდავებიან, იცით, როგორი სისულელეა? თანაც ეს ამცირებს ოპოზიციის შესაძლებლობებს. არ შეიძლება, აქამდე დავიდეთ.

***– ხელისუფლებას უნდა, რომ ასე იყოს?***

– დიახ, ამას სწორედ ხელისუფლება ცდილობს. მე ძალიან მახარებს ის, რომ განახლებულ ნაციონალურ მოძრაობაში ერთპიროვნულად აღარ მიიღება გადაწყვეტილებები. ძალიან მიხარია, რომ იქ არის სხვადასხვა ჯგუფი, სხვადასხვა ინტერესი და ხდება ამ ინტერესების შეჯერება. შემდეგ ამ საკითხების განხილვა და შეჯერება ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში, ხოლო ის ხალხი, ვინც ისევ იძახის, მიშა, მიშაო, იძახონ და იყვნენ, რა ვქნა. აქეთ ვიღაცა ბიძინა, ბიძინას იძახის.



სინამდვილეში დაპირისპირება ამ ორ პიროვნებას შორის კი არ არის, ესაა დაპირისპირება ცხოვრების ორ წესს შორის – ქურდული მენტალიტეტის ჯგუფსა და მეორე ჯგუფს შორის, რომელსაც უნდა წინსვლა, პროგრესი და განვითარება. აი, ამაშია სხვაობა.

***– გააქტიურდა დავით მაღრაძე, საუბარია ლევან ვასაძის გააქტიურებაზე, ასევე – ირაკლი ოქრუაშვილზე. ითქვა ისიც, რომ დათო მაღრაძე და მისი გარემოცვაც ბიძინა ივანიშვილის ფრთის ქვეშ არიან. ასეა?***

– ხდება სერიოზული გადაჯგუფება ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის. ის ადამიანები, რომლებიც რეტროგრადები არიან და ქვეყნის უკან დაბრუნება უნდათ, ცალ მხარეს აღმოჩნდებიან. მეორე ბანაკში აღმოჩნდებიან ის ადამიანები, რომლებსაც უნდათ პროგრესი, რაღაცა ცვლილებები და წინსვლა.

ოპოზიცია სწორედ ამ პროგრესის იდეების მატარებელია. მე მივესალმები იმასაც, რომ „ევროპული საქართველო“ ახლებურად წარმოჩნდა, იერთებს ახალ პარტიას და ძლიერ და სერიოზულ ბლოკს ქმნის.

ასევე გამიხარდება, თუ გაერთიანებულ ოპოზიციას ვინმე შემოუერთდება. მე რამდენადაც ვიცი, ირაკლი ოქრუაშვილიც სწორედ ამ ოპოზიციურ მიმართულებაზეა და ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ჩემში მხოლოდ კმაყოფილებას იწვევს. ეს ადამიანები ცდილობენ, წინ წაიყვანონ ეს ქვეყანა.

***– დავით მაღრაძეზე რას იტყვით?***

– დავით მაღრაძის დამოკიდებულება ბატონი ბიძინას მიმართ ძალიან კარგად ვიცით და კიდევ ბევრი რამ ვიცით. მე არ მივიჩნევ, რომ ის რადიკალურად დაუპირისპირდა.

***– არ გჯერათ, რომ განუდგა ივანიშვილს?***

– არა, არანაირად არ მჯერა. ის ხალხიც, ვინც უმრავლესობაში დაეჯახა, ბიძინას კი არ დაეჯახნენ, ისინი ერთმანეთს დაეჯახნენ შიგნით. არიან ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში, დაცინვაში და ბოლოს მაინც აპელირებენ ბიძინაზე.

**გამიხარდება, თუ გაერთიანებულ ოპოზიციას ვინმე შემოუერთდება. მე რამდენადაც ვიცი, ირაკლი ოქრუაშვილიც სწორედ ამ ოპოზიციურ მიმართულებაზეა და ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ჩემში მხოლოდ კმაყოფილებას იწვევს. ეს ადამიანები ცდილობენ, ქვეყანა წინ წაიყვანონ.**

ლევან ვასაძე სრულიად სხვა სიტუაციაა. ის ცალკე მდგომი პერსონაა. როგორ მოიქცევა და რას გააკეთებს, ჯერ არ ვიცი.

***– დღეს მიმდინარეობს ბრძოლა მესამე ძალის შესაქმნელად. იქნება მესამე ცენტრი?***

– არ იქნება მესამე ძალა, სამწუხაროდ. ძალიან მინდა, რომ იყოს მესამეც და ოცდამესამეც, მაგრამ არ იქნება. არ გამოვიდა. ჩვენ 2013 წლიდან ვცდილობთ, რაღაცნაირად შევქმნათ მესამე ძალა, სინამდვილეში კი ყოველთვის ხდება ორ ბანაკად გაყოფა და ეს ორი ბანაკი ბიძინასი და მიშასი კი არ არის, არამედ ეს არის პროგრესსა და რეტროგრადებს შორის ბრძოლა. ეს არის დასავლური ღირებულებებისა და ქურდული მენტალიტეტის მატარებელი ხალხის ბრძოლა, მეტი არაფერი არ არის.

აქ მესამე ძალა როგორ წარმოიქმნება? რა პოზიცია უნდა დაიჭიროს? გინდა თუ არ გინდა, ან ერთ მხარეს უნდა დადგე, ან – მეორე მხარეს.

***– ანუ ვერც ვასაძე შეძლებს მესამე ძალის ჩამოყალიბებას?***

– მე თავს შევიკავებ ამ ადამიანის შეფასებებისგან. პიროვნულად მას ვიცნობ, როგორც ძალიან სერიოზულ, ჭკვიან და საღად მოაზროვნე ადამიანს და რა განცხადებებსაც საჯაროდ აკეთებს, ჩემთვის იმდენად მიუღებელია, რომ ძალიან მიკვირს, ამ განცხადებებს რომ აკეთებს.

მე ვასაძეში მესამე ძალის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ვერ ვხედავ. შეიძლება, რაღაც განცხადებები გააკეთოს, ჯგუფთან ერთადაც გამოჩნდეს, შესაძლოა, ეკლესიაც ჩაერთოს, მაგრამ სერიოზული არაფერი იქნება. გეტყვით იმასაც, რომ თუ ის გააქტიურდა, ეს ხმებს წაართმევს ბიძინა ივანიშვილის ბანაკს და არა – ოპოზიციას.

***– ყურადღებას ამახვილებენ დავით მაღრაძის მიერ დაწყებულ ახალ კამპანიაზე. ძმები გაჩეჩილაძეები და, ასე ვთქვათ, ნაღები საზოგადოება სულ მის გარშემო შემოიკრიბებაო. ეს ისევ ბიძინას ხალხია და მისი ორბიტის გარშემო იტრიალებს?***

– ეს არის ხალხი, რომელიც მუდმივად ოპოზიციაში იდგა წინა ხელისუფლების მიმართ. ისინი თვლიან, რომ 2012 წელს მათ გაათავისუფლეს საქართველო სისხლიანი რეჟიმისგან. მე არ ვაიდეალებ წინა ხელისუფლებას, მაგრამ იმის არაღიარება, რომ მიშას ხელისუფლებამ მიაღწია უზარმაზარ შედეგებსა და წარმატებებს, არ შეიძლება.

აი, ეს ხალხი, ვინც მაღრაძის გარშემო იკრიბება, არავითარ შემთხვევაში აქეთ, ანუ ჩვენ მხარეს არ გადმოვა, ეს გამორიცხული და შეუძლებელია. სადღაც ხომ უნდა დადგნენ?! დადგებიან ისევ ბიძინას მხარეს. აი, ნახავთ, მათგან იქნება სულ ეს ერთი სლოგანი, მიშა მოდის, მიშა მოდის! ყველაფრის ამ დონემდე დაყვანა უნდათ.

***– არც ბიძინა მოგვწონსო, მასაც რომ აკრიტიკებენ?***

– ხომ იცით, როგორც ხდება, ბიძინა არ მინდა, მაგრამ მიშა უფრო არ მინდა. ხაზს გაუსვამენ იმას, რომ ხდება ორ ადამიანს შორის პაექრობა.

სინამდვილეში კი ასე არ არის. აქ არის იდეებს შორის ბრძოლა, იდეოლოგიებს შორის ბრძოლა! ვინც ისევ იმ ლოზუნგით გამოვა, რომ მიშა მოდის, მე ამ ხალხის არ მჯერა, ვერ დავიჯერებ, რომ ამ სიტუაციის შეცვლა უნდათ.

# სოსო ცინცაძე: „კალაძე პოლიტიკოსი არ არის. ის ხალხს დასცინის“

იაგო ნაცვლიშვილი

27 მარტს რუსთაველზე ტაქსისტების აქცია გაიმართა, რომელსაც დედაქალაქის მერმა პოლიტიკურად მართული უწოდა. იქამდე დაიწყო და დღემდე გრძელდება სოციალური მუშაკების გაფიცვა. იყო კონკრეტული საწარმოების გაფიცვაც.

ხომ არ არის სოციალური პროტესტი გადამდები და ხომ არ უნდა ველოდოთ გაზაფხულზე კონკრეტული სფეროების აქციებს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს:

***– ბოლო დღეებია, საკმაოდ გააქტიურდა სხვადასხვა სოციალური ფენის პროტესტი. ვნახეთ ტაქსისტების აქცია, მანამდე დაიწყო და გრძელდება სოცმუშაკების გაფიცვა. როგორც წესი, ეს გადამდებია ხოლმე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში სოციალური პროტესტი იფეთქებს?***

– რასაკვირველია. ასეთ დროს დომინოს თეორია იწყებს მუშაობას. ვინაიდან უკმაყოფილება თითქმის ყველა რგოლში აღინიშნება, აქ უკვე მოქმედებს გადამდები ეფექტი. ეს ცუდი მაგალითია თუ კარგი, სხვა საკითხია, მაგრამ გადამდებია. ამიტომ, ჩვენ უნდა ველოდოთ უახლოეს დღეებში ამის გააქტიურებას, მით უმეტეს, გაზაფხულია, რაც მთელ მსოფლიოში სოციალური პროტესტის დასაწყისად ითვლება და მოსალოდნელია.

ხელისუფლებისთვის სიტუაციას დრამატიზმს მატებს ის, რომ შუალედური არჩევნები ემთხვევა, სადაც ხელისუფლების საკადრო პოლიტიკის უმწვავესი ლუსტრაცია მოხდა, როდესაც მაჟორიტარობის კანდიდატად ლადო კახაძე წარმოადგინა. ადამიანი აბსოლუტური არაიდეოლოგიზირებულია. მიუხედავად მისი პროფესიული წარმატებისა და გარკვეული რეპუტაციისა, როგორც ჩანს, ხელისუფლებასთან ახლოს ყოფნის ბაცილა დიდი ხანია, შეეყარა. ამას კარგი გაგებით ვამბობ.



არ ვაკრიტიკებ. მას ახლოს ვიცნობ და უაღრესად წესიერი ადამიანია, მაგრამ, ხომ გახსოვთ, რომ თავის დროზე იყო საკრებულოს თავმჯდომარე „ლეიბორისტული პარტიიდან“, მერე იყო მოქალაქეთა კავშირში, იყო პაატა ბურჭულაძის პარტიაში, სერიოზული შემომწირველი და ახლა უკვე – „ოცნებაში“. ეს მეტყველებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ პარტიული ნიშნით ველარ არჩევს კადრებს. პოპულარულ ხალხი პარტიაში უკვე აღარ არის, უხეშად რომ ვთქვათ, ქუჩიდან მოჰყავს. პირველი იყო სალომე ზურაბიშვილის პრეცედენტი. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რაც ნიშნავს, რომ სისტემურ ხასიათს იღებს და გარკვეულ წესად იქცა. ოღონდ გაიმარჯვოს და შემდეგ ღილაკების ფერი შეეშლება თუ არა, რა როგორ იქნება, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს „ოცნებისთვის“.

ეს არის მწვავე სოციალური ფონი. ყველაზე დიდი მტერი „ოცნებისთვის“ არის არა პარტიული ოპოზიცია და ფასეულობებისა და ღირებულებების ჭრილში დაპირისპირება, არამედ სოციალური ფონი.



***– ოპოზიციას რა როლი უნდა ჰქონდეს ამ პროცესში?***

– ოპოზიციას სჭირდება სწორი პოლიტტესტი, რათა ეს უკმაყოფილება საკუთარ სამსახურში ჩააყენოს. მაგრამ შეძლებს ამას ოპოზიცია?! მით უმეტეს იმ ფონზე, როცა სულ უფრო და უფრო ქუცმაცდება.

***– ასე ფიქრობთ, რომ ვერ შეძლებს და გაუჭირდება ეს?***

– რასაკვირველია, გაუჭირდება, ვინაიდან ამ უკმაყოფილო ელექტორატის ხმებზე უკვე ნადირობის სეზონი გამოცხადდა. დილეტანტებიც კი, რომლებიც პოლიტიკაში საერთოდ ვერ ერკვევიან, იწყებენ მასობრივ შეხვედრებს. მხედველობაში მაქვს დათო მაღრაძე და მისი გვერდით მდგომნი.

***– ამ თემებზე მუშაობა ბესელიამაც დაიწყო და პარლამენტში ჯანდაცვის მინისტრს იბარებს.***

– რასაკვირველია. ეს უკვე წინასაარჩევნო კამპანიაა. ახლა 13 აპრილს მაღრაძე ფილარმონიის დარბაზში რომ ეძახის, ეს უკვე წინასაარჩევნო აქციაა. ეს არის ამომრჩევლის მობილიზაცია. დარწმუნებული ვარ, ფილარმონიის დარბაზი გაივსება, მაგრამ სულ სხვა საკითხია, მაისში ის ადამიანები, რომლებიც ფილარმონიის დარბაზს გაავსებენ, ყველანი ამ მოძრაობას მისცემენ ხმას?! ხელისუფლების არსენალში უკვე მრავალნაცადი და ეფექტური იარაღია, როგორც არის მშიერ ადამიანებთან ურთიერთობა.

***– ცეცხლზე ნავთის დასხმად ხომ არ უნდა შეფასდეს ის განცხადებები, რომლებიც, მაგალითად, კალაძისგან მოვისმინეთ ტაქსისტების აქციაზე შეფასებისას, როცა მათ პოლიტიკურად მართული უწოდა?***

– რასაკვირველია. ესეც უკვე დაძველდა. ხელისუფლება მეორადი საგნებით მოვაჭრეს ემსგავსება. ადრე იყო სულ, სააკაშვილი მოდის, სააკაშვილი მოდის. ახლა ვინც არ უნდა გამოვიდეს... კახელი მევენახე რომ გამოვიდეს და პროტესტი გამოთქვას, ოპოზიციიდან მართულს უწოდებენ. სამეგრელოში გამოვლენ ადამიანები, შიმშილს გააპროტესტებენ და მათაც მართულს უწოდებენ.

***– ეს უკუშედეგს ხომ არ გამოიღებს?***

– რასაკვირველია. ეს უფრო ამწვავებს სიტუაციას. როდესაც პატიოსან, მშიერ ადამიანს ეუბნები, შენ იმიტომ კი არ აპროტესტებ, რომ გშია, არამედ იმიტომ, რომ ფული მოგცესო, ეს შეურაცხყოფაა.

კალაძე პოლიტიკოსი არ არის, არ იცის, რომ ამით საქმეს უფრო აფუჭებს. პატიოსან, მშიერ ადამიანს ეუბნება, ფული მოგცეს და იმიტომ გამოდიხარ ხელისუფლების წინააღმდეგ და არა იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ვერ შეგიქმნა ცხოვრების პირობებიო. ამ დროს ეკონომიკის მინისტრი გამოდის და ამბობს, ხალხი კარგად ცხოვრობს და მაგათ ეჩვენებათ, რომ ცუდად ცხოვრობენო. დედაქალაქის მერი კი ამბობს, რომ ხალხი კარგად ცხოვრობს, მაგრამ მათ ფული მისცეს და ამიტომ გაფიცვასაც მოაწყობს და ფილარმონიასაც გაავსებს. ეს წესიერ ადამიანებს აღიზიანებს და წესიერი ადამიანები პირად შეურაცხყოფად განიხილავენ.

ეს არ ესმით, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ძალიან ცოტა პოლიტიკოსია. იგივე, ვთქვათ, საფრანგეთში მაკრონს ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ ყვითელჟილეტიანები მოსყიდული ხალხია. კი, მიანიშნებს რაღაცას. შეიძლება, მართული იგულისხმოს, მაგრამ ამას ამბობს ძალიან დელიკატურად და რბილად, იმიტომ, რომ ის პოლიტიკოსია და იცის, რომ ხალხის შეურაცხყოფა არ შეიძლება და ეს ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება. რა უნდა მოიფიქრონ ამათ მეტი, როცა მრჩევლებად ყანდიაშვილები, ბიგვავები და ეს პუბლიკა ჰყავთ.

მეც არ მომწონს ჩემი მდგომარეობა, არ მომწონს, მეცნიერება რა დღეშია არის, მაგრამ, ისღა მაკლია, კალაძე გამოვიდეს და თქვას, ცინცაძეც ნაყიდიაო. ამით ხომ უფრო გამაცოფებს.

# „კობახიძის გუნდი „ოცნების“ საარჩევნო სიაში ველარ მოხვდება“

## ვახტანგ ძაბირაძე: „მმართველ პარტიაში დაპირისპირება უფრო გამწვავდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ეკა ბესელიას კიდევ გამოუქვეყნეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. გამოძიებას ის ერთთვიან ვადას აძლევს. დავით მათიკაშვილი ამბობს, რომ როგორი ამაზრზენიც არის ამ კადრების გავრცელება, ისეთივე ამაზრზენია მისი გავრცელების სხვისთვის დაბრალება. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდება?***

– მე ვეთანხმები მათიკაშვილს. დიახ, ამაზრზენია, ერთი მხრივ, ამ კადრების გავრცელება და, მეორე მხრივ, მისი სხვისთვის დაბრალება, მაგრამ ბატონ მათიკაშვილს ავიწყდება ერთი რამ, სწორედ ის და მისი გუნდია პასუხისმგებელი დაადგინოს, ვინ ავრცელებს ამ კადრებს.

თავად ბესელია როდესაც იყო უმრავლესობაში, მაშინაც ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის უკანონო ფარული ჩანაწერები, ეს იქნებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები თუ ჰაკიმ ფაშას სახელით გავრცელებული ვიდეოები. მაშინაც და ახლაც ხელისუფლება პასუხისმგებლობას გაურბის. როდესაც ამ პასუხისმგებლობას გაურბის ხელისუფლება, მაშინ გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ ის არის მონაწილე ან იმდენად უძლურია, რომ არ შეუძლია რაიმე გააკეთოს ამის წინააღმდეგ.

თუ უძლურია, ასეთი ხელისუფალი არავის უნდა და, თუ თავად ავრცელებს, კიდევ უარესი.

რაც შეეხება დაპირისპირებას, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და უფრო მწვავე სახეს მიიღებს. ასე მარტივად არ ჩაივლის და არც მხოლოდ ამ ჯგუფით შემოიფარგლება.



***– რას გულისხმობთ?***

– რაც უფრო მოახლოვდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და სიის დაკომპლექტება დაიწყება, პროცესი მაშინ კიდევ უფრო გამწვავდება. ვინ უნდა დაიხუროს ქუდი და წავიდეს სახლში და ვინ უნდა გააგრძელოს პოლიტიკური ცხოვრება, აი, ეს იქნება მთავარი დაპირისპირების მიზეზი. ის ჯგუფი, რომელიც ვერ მოხვდება 2020 წლის სიაში, რა თქმა უნდა, გაემიჯნება „ქართულ ოცნებას“.

იქნება მეორე ნაწილი, რომელიც ახლავე ეცდება, 2020 წლისთვის ადგილი დაიბევოს და ურთიერთობები არც ერთი მიმართულებით არ გააფუჭოს.

***– კობახიძის გუნდი იქნება 2020 წლის სიაში? დღეს თითქოს სადავეები მათ ხელშია.***

– გამიჭირდება ამის თქმა. ბევრი მათგანი შემდეგი გაჩერებისთვის ბილეთს ალბათ ვერ მიიღებს. მათ უმრავლესობას სიაში ალბათ ვერ ვიხილავთ. თუ ვინმე მიიღებს დარტყმას და ვერ მოხვდება საპარლამენტო სიაში, ეს იქნება ე.წ. კობახიძის გუნდი, დაახლოებით ის ოთხეული, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ.

***– მავრის საქმის გამკეთებლები, შემსრულებლები, რომლებიც შემდეგ უკვე ასპარეზზე აღარ ჩანან?***

– დიახ, სწორედ ასეა. სწორედ ეს ვიგულისხმე, ისინი დღეს შავ სამუშაოს ასრულებენ, საკუთარ თავზე იღებენ დარტყმას, პერსონალურად კობახიძით დაწყებული, ოთხეულს ვგულისხმობ. თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, მერე ისინი უჩინარდებიან, თანაც, საზოგადოებაში მათდამი არ არის დიდი სიმპათია. ალბათ, უმუშევრები არ დარჩებიან, მაგრამ, თუ ვინმე ვერ მოხვდება ახალ საპარლამენტო სიაში, სწორედ ეს გუნდია. დანარჩენი ახალგაზრდების ბირთვი კვლავ იქნება წარმოდგენილი თუმცა, დარწმუნებული ვარ, სია მკვეთრად იქნება გადახალისებული.

***– ეკა ბესელიას კრიტიკა ამ ოთხეულით შემოიფარგლება, ის კვლავ არ ახსენებს ბიძინა ივანიშვილს, ბოლომდე არ წვავს ხიდებს?***

– ჯერჯერობით ბესელია ივანიშვილის პირდაპირი კრიტიკისგან თავს იკავებს. ტაქტიკურად ეს სწორი სვლაა. იერიში მიაქვს კობახიძის გუნდზე, რომელიც თავად უმრავლესობის უმრავლესობაში არ იმსახურებს მოწონებას, ე.წ. ძველ გვარდიაში. ჯერჯერობით ბესელიას საზოგადოებრივი მხარდაჭერა უფრო მეტი აქვს, ვიდრე კობახიძესა და მის გუნდს. თუ კვლავ გაგრძელდება ბესელიასადმი ასეთი დამოკიდებულება, პირადი კადრების გავრცელება და ა.შ. ბესელია კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს საზოგადოებისგან და ეს ჯგუფი კიდევ უფრო დაშორდება საზოგადოებას.

***– როდესაც ბიძინა ივანიშვილი პარტიაში დაბრუნდა, მან ერთ-ერთ მიზეზად პარტიაში არსებული სიტუაცია დაასახელა. მას შემდეგ „ქართული ოცნება“ ლამის ჩამოიშალა, მაგრამ ამაზე ივანიშვილს საჯაროდ არაფერი უთქვამს. რატომ?***



– მე არ ველოდები, რომ ივანიშვილი ღიად ჩაერიოს, მეტიც, ამ პროცესს ბოლომდე მიუშვებს, გაზაფხულის ბოლომდე მაინც, მისგან პარლამენტში მიმდინარე პროცესებზე არაფერს ველოდები. ალბათ, უფრო ლოგიკური იქნება, ახლა ივანიშვილი ფიქრობდეს, მთავრობის რეორგანიზაცია როგორ მოახდინოს.

პარლამენტში პროცესი, ივანიშვილმა რაც უნდა თქვას, ამის მიუხედავად, მაინც გაგრძელდება, როგორც გითხარით, უფრო გამწვავდება. ამას ვერავინ შეაჩერებს და ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

# ამირან სალუქვაძე: „სპეცსამსახურები ანტიტერორისტული კუთხით კარგად მუშაობენ“

## „ოკუპაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს ერთად დგომით უნდა დავუპირისპირდეთ და არა – კინკლაობით“

იაგო ნაცვლიშვილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს) ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად, ანტიტერორისტული მიმართულებით პოზიტივი სახეზეა. პოზიტივია ანტიკორუფციული თვალსაზრისითაც, თუმცა გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზთან შექმნილი ვითარების თვალსაზრისით, რაც ეხება ჩვენი მოქალაქეების უკანონო დაკავებების ფაქტებს, ე.წ. ბორდერიზაციასა და ჩვენი მოქალაქეების მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, რაც რამდენიმე შემთხვევაში მსხვერპლით დასრულდა.

სუს-ის ანგარიშს ანტიტერორისტული მიმართულებითა და საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარების კონტექსტში „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფასებს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, გადამდგარი გენერალი **ამირან სალუქვაძე.**

***– სუს-მა გამოაქვეყნა ანგარიში. შეგიძლიათ ტერორიზმთან მიმართებით თქვათ, რომ სუს-ის მუშაობა ამ მიმართულებით ნაყოფიერია?***

– საერთოდ, ტერორიზმთან დაკავშირებით შედეგებით მსჯელობენ. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველო იმდენად არ არის მოვლენების ეპიცენტრში და ზოგადად ტერორისტული ორგანიზაციების. თუმცა, ვიცით, რამდენად აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები სირიაში საბრძოლო მოქმედებებში. საქართველო მონაწილეობას იღებს ანტიტერორისტულ მისიებში, კერძოდ, ავღანეთში. ამიტომ, შედეგებით უნდა შევხედოთ.

ეს უფლის წყალობით არის თუ სპეცსამსახურების აქტიური საქმიანობით, საქართველოში ტერორისტული აქტი არ მომხდარა. ამიტომ, ვისაც როგორ ესიამოვნება, იმ გემოვნების მიხედვით იმსჯელოს. ფაქტია ის, რაც სახეზე გვაქვს. თუ იმ აქტივობებს არ ჩავთვლით, რაც იყო 2017 წელს. მხედველობაში მაქვს ის ანტიტერორისტული ოპერაციები, რაც საქართველოში განხორციელდა. სხვა ისეთი აქტივობა ჩვენს მოსახლეობას არ უნახავს. შედეგებია მთავარი და შედეგებით ასე ჩანს.

***– ანუ მკაფიოდ ვერ ვიტყვით იმას, ეს უკავშირდება ჩვენი სპეცსამსახურების აქტივობას თუ უბრალოდ არ ვართ ეპიცენტრში?***

– მკაფიოდ ვიტყვით იმას, რომ შედეგებით ასეა. გარდა იმ აქტივობისა, რაც იმ სპეცოპერაციებით ვიხილეთ, სხვა მხრივ ჩვენი მოსახლეობა მშვიდად არის. სპეცოპერაციებს წინ უძღოდა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი მუშაობა. ვიხილეთ სხვადასხვა მასალები, რაც იმ ჯგუფის საქართველოში აქტივობებსა და მოძრაობას ეხებოდა. ეს ხომ არ არის 20 წუთში ან 1 დღეში აკრეფილი მასალები. ეს ნიშნავს, რომ ნაყოფიერი სამუშაოები ტარდებოდა.

მხოლოდ იმ ოპერაციებითაც რომ ვიმსჯელოთ, ჩანს, რომ თავის ფუნქციებს ასრულებენ. ერთი მხარეა, რაც ვიხილეთ. საზოგადოება აფასებს იმ სიმშვიდით, რომ ასეთი ფაქტები არ ხდება, ან სპეცოპერაციებით, რომლებიც სახეზეა. იქაც, სპეცრაზმელის დაღუპვისა და აყვანისას გარდაცვლილ მოქალაქის გარდა, პრაქტიკულად მსხვერპლი არ გვქონია, რომლის ირგვლივაც ხმაურია ამ პერიოდის განმავლობაში.

მე, როგორც სპეციალისტს, შემიძლია, ცალმხრივი ვიყო და სპეცსამსახურების საქმიანობას გავუსვა ხაზი, მაგრამ არიან პოლიტიკოსები და სხვა ექსპერტები და გავცნობივარ მათ მოსაზრებებს, რომ საქართველო არ არის ეპიცენტრში და ამიტომ არაფერი ხდება. ყველა პოზიციას აქვს არსებობის უფლება და ყველა სწორი შეიძლება იყოს. მე პირადად იმ აზრისკენ ვიხრები, რომ სპეცსამსახურები მუშაობენ ამ მიმართულებით.

***– შედეგებიდან გამომდინარე, სახეზეა პოზიტივი, მაგრამ, ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა ახალ ეტაპზე გადასვლა უსაფრთხოების თვალსაზრისით და კიდევ უფრო აქტიური მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან?***




– იმისთვის, რომ უფრო მეტად არგუმენტირებული ვიყო, მოვიშველიებ ჩემს უახლოეს წარსულს.

7 წელი გავატარე საგარეო დაზვერვაში, 2016 წლის ჩათვლით. ცალსახად უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სპეცსამსახურები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იქნება, დაზვერვა თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენს პარტნიორებთან. ვხედავთ თავდაცვისა და შსს-ს წარმომადგენლების აქტიურ თანამშრომლობასაც. ყველა სტრუქტურა თანამშრომლობს როგორც სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-თან, ასევე სხვა პარტნიორებთან, მხედველობაში მაქვს ევროპის წამყვანი სახელმწიფოები. ეს თანამშრომლობა გრძელდება და ყველაფრის აფიშირება არ ხდება. რა ინფორმაციებიც მე მაქვს და რასაც ჩახედული ადამიანები ხედავენ, ცხადია, რომ საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება ეს თანამშრომლობა.

ახლახან მიიღო უსაფრთხოების სამსახურმა ანტიტერორისტული კონცეფცია, რაც უდავოდ დადებითია. ამ სამუშაოს გაღრმავება სჭირდება. ჩართულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და განსაკუთრებით – ძალოვანი უწყებები. კონცეფციას შემდგომში უნდა მოჰყვეს დეტალები, სხვადასხვა მემორანდუმების სახით იქნება თუ გაწერილი გეგმების სახით. ისეც მუშაობენ, მაგრამ, უკვე კონცეფციის თანახმად, უნდა მოხდეს მეტი დეტალიზება და კოორდინაცია. კონცეფცია ახლახან მიიღეს და, იმედია, ამ მიმართულებით ვიხილავთ კონკრეტულ ნაბიჯებს სხვადასხვა უწყების მხრიდან.

წამყვანი უწყება, რა თქმა უნდა, სუსი იქნება, რაც უკავშირდება ანტიტერორისტულ საქმიანობას.

***– სუსი აღიარებს, რომ გამოწვევები რჩება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით. საუბარია ჩვენი მოქალაქეების გატაცებაზე. აქ როგორ წარმოგიდგენიათ ვითარების დარეგულირება?***

– ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილშია და რუსეთის ინტერესებს უკავშირდება რეგიონში. რუსეთის სასაუბრო ენა არის საოკუპაციო ზოლთან ვითარების დაძაბვა. მოქალაქეების გატაცება, სახეზეა წამება და გარდაცვალების ფაქტებიც. ამის დარეგულირება მარტივი არ არის. სპეკულაციებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავისი მხრიდან. პრობლემებს თვალებში უნდა ჩავხედოთ და ყველა ერთ მხარეს უნდა ვიდგეთ – პოლიტიკოსი იქნება, ექსპერტი თუ რიგითი მოქალაქე.

მეორე მხარეს დგანან საოკუპაციო ძალები და მარიონეტული რეჟიმები. კეთდება სხვადასხვა განცხადება, რომლებიც არ შეესაბამება იმ რეალობას, რომლის წინაშეც ჩვენ ვიმყოფებით. არ შეიძლება ამ თემებზე პოლიტიკურად დაინტერესებული აჟიოტაჟის ატეხა.

***– ოპოზიციის განცხადებებს გულისხმობთ?***

– ოპოზიცია და ხელისუფლება ჩემთვის ერთია. დღეს ოპოზიციაში არიან, ხვალ ხელისუფლებაში იქნებიან და ანალოგიური პრობლემების წინაშე დადგებიან. გამოდის, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელიც ოპოზიციაში გადაინაცვლებს, უნდა მოახდინოს ამ თემით სპეკულირება. მაგიტომ ვამბობ, რომ ყველა პოლიტიკური ძალა ერთ მხარეზე უნდა იდგეს – ჩვენი მოქალაქეების მხარეზე. მეორე მხარეზე არიან საოკუპაციო ძალა და მარიონეტული რეჟიმები. თუ ერთ მხარეზე ვიდგებით, მაშინ მივაღწევთ რაღაც წარმატებას.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ამ გატაცებებითა და იმ მდგომარეობით, რაც ხდება, ჩვენს შიდა პროცესებზე ახდენს ზეგავლენას. იგივე ეხება საოკუპაციო ხაზის გავლებას. რით ვერ დაამთავრეს ამდენი წლის განმავლობაში?! შეგნებულად წელავენ დროში, რადგან ყოველი ახალი ბოძის ჩაცემენტება თუ აზრის მონიშვნა ჩვენს ტერიტორიაზე იწვევს შიდაპოლიტიკურ დაძაბულობას. ეს უნდა დავინახოთ. როცა დაინახავენ, რომ ეს ზეგავლენას ვერ ახდენს, მაშინ ალბათ სხვა მეთოდებს მიმართავენ. ამ მიმართულებით რაღაც ახალია მოსაფიქრებელი. რეცეპტი არ არსებობს.

არსებობს გააზრებული, გრძელვადიანი პოლიტიკა. უნდა შევიმუშაოთ დეოკუპაციის სტრატეგია ან, რაც უნდათ, ის დაარქვან ამ დოკუმენტს. არსებობს რაღაც დოკუმენტები ამ თემაზე, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მას კონკრეტული სახელი, მიზანი და შინაარსი უნდა ჰქონდეს. აქ იქნება ქმედითი ნაბიჯები, გაწერილი მრავალი წლის განმავლობაში.

შეიძლება, ეს ხანგრძლივად გაგრძელდეს, იქამდე, სანამ რუსეთი ასეთ აგრესიულ პოლიტიკას ატარებს როგორც ზოგადად, ასევე ჩვენთან მიმართებით. ამიტომ ვამბობ, რომ ამ დოკუმენტზე უნდა განახლდეს მუშაობა და გადაიხედოს ის ძველი დოკუმენტები, რომლებიც ამ თემაზე არსებობს. გაიწეროს ჩვენი ნაბიჯები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

ამ დოკუმენტს ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა მოაწეროს ხელი. ვინც არ მოაწერს ხელს, უმრავლესობას უნდა დაემორჩილოს. მთელი სახელმწიფო და მთელი ერი ერთ მხარეზე უნდა იყოს და დარაზმული, რომ ამ გამოწვევას ერთად დგომით დავუპირისპირდეთ და არა – ერთმანეთთან კინკლაობით.

# ჯემალ გამახარია: „ცხინვალის რეგიონში უფრო საშიში ვითარებაა, ვიდრე აფხაზეთში“

## „ნატო რომ არ გვიცავდეს, საქართველოში დამატებით კიდევ რა მოხდებოდა, არავინ იცის“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***— ბატონო ჯემალ, ბოლო დროინდელმა ნატოს ხელმძღვანელობის მაღალი დონის ვიზიტებმა აფხაზ სეპარატისტთა გაღიზიანება გამოიწვია. მსოფლიოს უძლიერეს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსთან მჭიდრო ურთიერთობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედებს თუ გიჩენთ?***

— რა თქმა უნდა, აქ ორი აზრი არ არსებობს. როდესაც გყავს ისეთი მეზობელი, რომელიც ბედმა თუ უბედობამ გარგუნა, აუცილებელია ისეთი ძლიერი და ერთგული მოკავშირე, როგორიც არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ჩვენ სამწუხაროდ და საუბედუროდ, არჩევანის საშუალება არ გვაქვს, ეს არის ჩვენი ერთადერთი არჩევანი.

***— ზოგიერთები ამბობენ, ჯობს, ამ სიტუაციაში რუსეთი ავირჩიოთო.***

— ჩვენ რუსეთი ავირჩიეთ დიდი ხნის წინ. რუსეთი ავირჩიეთ თავიდან, როდესაც გავხდით დამოუკიდებელი, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში მოხდა ტერიტორიების დაკარგვა. ასე რომ, რუსეთს აირჩევ-არ აირჩევ, შედეგი ყოველთვის ერთია.

რუსები ყველა დონეზე აცხადებენ, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ ახალი რეალობა, რომელიც თითქოს სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ვითომ დამოუკიდებელი „სახელმწიფოების“ სახით და შემდეგ ვილაპარაკოთ. ისინი არ აცხადებენ, ტერიტორიებს დაგიბრუნებთ, ნატოში შესვლაზე უარი თქვითო. რუსები ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებენ.

თუ კრემლი იტყვის, უარი თქვით ნატოზე და ხვალვე დაგიბრუნებთ ტერიტორიებსო, მერე, კი ბატონო, ვისაუბროთ, ვილაპარაკოთ, ვიმეგობროთ, მაგრამ ისინი გვეუბნებიან, თქვენ ნატოზე უარს იტყვით, არ იტყვით არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, აღიარეთ ახალი რეალობა და მორჩა.

ამ ვითარებაში ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია, ნატო არის ერთადერთი გამოსავალი — მრავალი ვარიანტიდან ერთი ავირჩიეთ. ეს არის ერთადერთი არჩევანი. სხვა არჩევანი არ გვაქვს. რომ იყოს, შეიძლება, სხვა არჩევანი გაგვეკეთებინა, მაგრამ სხვა არჩევანი არ არის.

***— კარასინმა ხომ განაცხადა, საქართველომ უნდა აირჩიოს ნატო ან კავკასიაში სტაბილუროებაო.***

— კარასინი, ალბათ, თვლის, რომ ახლა კავკასიაში არის სტაბილურობა. კავკასიაში არის კონფლიქტები, სადაც არის ოკუპირებული ტერიტორიები. კარასინს მიაჩნია, რომ ეს არის სტაბილურობა და თუ ჩვენ ამ „სტაბილურობას“ რაღაც საფრთხეს შევუქმნით, ეს იქნება ძალიან ცუდი.

***— მგონი, სტაბილურობა რუსეთის ფედერაციის ფარგლებშიც (კავკასიაში) არ არის. აი, ინგუშეთში დაძაბულობაა.***

— დიახ რუსეთს თავის ტერიტორიაზეც ვერ დაუმყარებია მშვიდობა და უხეში ძალით მოჩვენებით სტაბილურობას ინარჩუნებს. რუსეთის მუქარები ნაცნობია და ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ.

***— როგორ აღიქვით თქვენ სეპარატისტული ჯგუფების რეაქციები და გამოხმაურება ნატოს გენმდივნის ვიზიტთან დაკავშირებით?***

— ნატოს გენმდივანი იენს სტოლტენბერგი მეორედ იყო საქართველოში. ის ჩამოვიდა იმის გამო, რომ 18 მარტიდან 28 მარტამდე მიმდინარეობდა ნატოს სამხედრო სამეთაურო-საშტაბო სწავლება. ჩვენმა ქვეყანამ უმასპინძლა 350-მდე სამხედრო და სამოქალაქო პირს.



ეს არის პირველი ერთობლივი მრავალეროვანი სამხედრო სწავლება, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობენ. ეს ხდება პირველად და ძალიან მასშტაბური ღონისძიებაა, რომელმაც რუსეთიც დააფიქრა და სეპარატისტებიც.

სეპარატისტების გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ ბატონმა გენერალურმა მდივანმა როგორც პრემიერთან, ასევე პრეზიდენტთან შეხვედრების დროს სამჯერ გაიმეორა, რომ რუსეთმა უკან წაიღოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება და გაიყვანოს ჯარები საქართველოს ამ ტერიტორიებიდან, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და ა.შ.

***— ეს არის, რა თქმა უნდა, ვიღაც ორღობის პოლიტიკოსის განცხადება.***

— რასაკვირველია.

***— რომლის უკანაც არავითარი ძალა არ დგას. ამიტომ რეაქციებიც გასაგებია.***

— დიახ. ფაქტობრივად, ეს არის 29 სახელმწიფოს განცხადება ნატოს წევრი ქვეყნების სახელით გაკეთებული გენმდივნის მიერ. ის, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსია. ნატო ხომ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკია. ამდენად, მათ განცხადებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.



კიდევ ერთი საკითხი, რომელიც განიხილებოდა შეხვედრაზე, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხია. ამიტომ ყოველივე ამან ის რეაქცია, რომელიც გაკეთდა ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სოხუმში. სეპარატისტებს ე.წ. უშიშროების საბჭო აქვთ ასევე. მისი ხელმძღვანელია ვინმე მუხამედ კიუმა, რომელმაც ასევე განცხადება გააკეთა. ამ ორ განცხადებაში ისინი, ერთი მხრივ, პროტესტს გამოთქვამენ, მაგრამ იქვე ამბობენ, ეს არაფერი არ არის, ეს არაფერს მოიტანს, საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდებაო და ა.შ.

***— თუ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება, რატომ ღელავენ?***

— საქმეც ეს არის. მათი განცხადებები, ბუნებრივია, მოსკოვის დავალებითაა გაკეთებული. ჯერჯერობით მოსკოვიდან ოფიციალური განცხადებები არ გაკეთებულა, თუმცა, ჩვენთან მიმდინარე ნატო-საქართველოს სამხედრო სწავლებას სხვადასხვა პოლიტოლოგი და ექსპერტი აფასებს, თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა ან სხვა უწყების ოფიციალური განცხადება არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბატონი კარასინის ადრე გაკეთებულ განცხადებებს.

მათ, ბუნებრივია, ჩვენი კარგი ურთიერთობები ნატოსთან და ერთობლივი სამხედრო სწავლებები ძალიან აწუხებთ, ძალიან აშფოთებთ. თუმცა, როგორც ნატო, ისე საქართველო აცხადებს, რომ პრობლემის მოგვარება მოხდება მშვიდობიანი გზებით, ნატო საომრად არ არის მოსული საქართველოში.

ნატო ჩვენ გვიცავს. ნატო რომ არ გვიცავდეს, საქართველოში დამატებით კიდევ რა მოხდებოდა, არავინ იცის.

***— სხვათა შორის, ალბათ მიაქციეთ ყურადღება, პრესკონფერენციაზე უცხოელმა ჟურნალისტმა ჰკითხა გენერალურ მდივანს, ხომ არ მოხდება ისე, რომ საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე ნატოში შევარდესო. თქვენ ეს კითხვა და ამ კითხვაზე პასუხი როგორ გაიგეთ?***

— აინტერესებდათ, საქართველო ნატოში თუ იქნებოდა მიღებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. ბატონ სტოლტენბერგს ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ გაუცია. ის იმეორებს, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. სამწუხაროდ, კონკრეტულად არ ამბობს, ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე გახდება თუ არა საქართველო ნატოს წევრი.

აქ სტოლტენბერგმა საკუთარი ქვეყნის, ნორვეგიის მაგალითი მოიყვანა 1949 წელს, როცა ნორვეგია ნატოს წევრი გახდა, მაშინ სტალინს ეს არ მოეწონა, არ უნდოდა ნორვეგიის ნატოში გაწევრიანება, მაგრამ, სტალინის ნებას კი არ დავყევით, არამედ ჩვენ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებდით და ნორვეგია ნატოში გაწევრიანდა. ზუსტად ასე მოხდება საქართველოს გაწევრიანებაც, რაც თქვენზე და ნატოს წევრი 29 ქვეყნის პოზიციაზეა დამოკიდებულიო.

მინდა შეგახსენოთ, რომ როდესაც თბილისში ბრძანდებოდა გერმანიის კანცლერი, ქალბატონი მერკელი, მან ბატონი სტოლტენბერგისაგან განსხვავებით, პირდაპირ უპასუხა ამ კითხვას. მან თქვა, საქართველო ვერ გაწევრიანდება ნატოში, სანამ ეს ორი ტერიტორია ოკუპირებულია და სანამ არ მოხდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაო. თუმცა, ამ მოსაზრებას ყველა არ იზიარებს. აქ სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება არსებობდეს.

ბევრჯერ თქმულა და მეც გავიმეორებ — იგივე გერმანიის მაგალითი გვაქვს, რომელიც, როცა ნატოში გაწევრიანდა, ერთიანი არ იყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ძალიან ნორმალურად წარიმართა.

***— ნატომ ჩვენ უნდა მიგვიღოს იმ საზღვრებში, რა რომლებშიც აღიარებული ვართ გაეროს მიერ.***

— რასაკვირველია. შემდეგ ნატომ უნდა დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები რუსეთთან ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაზე. აქ ომზე საუბარი არ არის. ამდენად, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. მხედველობაში მაქვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე საქართველოს ნატოში მიღება. ეს შესაძლებელია., მაგრამ ნატოს რამდენიმე გავლენიანი წევრი ქვეყანა ამას ეწინააღმდეგება.

***— ჩვენ, მთავარია, არაღიარების პოლიტიკა გავაგრძელოთ. ახლახან ამერიკის კონგრესში მიიღეს დოკუმენტი უკრაინის ტერიტორიებთან — ყირიმსა და დონბასთან დაკავშირებით, სადაც ჩაწერეს, რომ მხოლოდ დე იურე კი არა, დე ფაქტოდაც არ უნდა იქნეს აღიარებული, ანუ ჩვენთან იყენებენ ტერმინს დე ფაქტო ხელისუფლება, ესეც კი არ არის მისაღები და სრული არაღიარების პოლიტიკა უნდა გავატაროთ.***

— ამ ტერმინის გამოყენებით მაინცდამაინც დიდი დანაშაული არ ხდება. აშშ-ის პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრი გახდა. 2017 წლიდან აშშ-მ კანონის დონეზე ასახა (საბიუჯეტო კანონშია ასახული), რომ ვინც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს აღიარებს, მათ ყოველგვარი ფინანსური დახმარება შეუწყდებათ, რაც ძალიან სერიოზული მესიჯია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც გაბედავენ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებას.

რამდენიმე ქვეყანამ აღიარა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მთლიანად რუსეთზე არიან დამოკიდებული სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით. ფაქტობრივად, რუსეთმა იყიდა მათი აღიარება. არც ერთი ღირსების მქონე სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე და სახელმწიფოს მეთაური ამ წარმონაქმნებს „დამოუკიდებელ ქვეყნებად“ არ აღიარებს.

ამ კუთხით ძალიან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და კიდევ ახალ-ახალი ძალები უნდა იყოს ჩართული, საერთაშორისო საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მართლა უბედურება არ მოხდეს. თუ ეს ორი ტერიტორია მართლა იქნება აღიარებული, ეს უბედურება მხოლოდ საქართველოს უბედურება არ იქნება, მაგრამ რუსეთს ამ ტერიტორიების აღიარება და მართლაც დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბება კი არ აინტერესებს. რუსეთს ეს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ნელ-ნელა მის ანექსიას ახდენს. რუსეთმა ეს რომ შენიღბოს, რამდენიმე ქვეყნის აღიარება უყიდა.

მასობრივად ბევრმა ქვეყანამ რომ აღიაროს (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) და მართლა დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბდნენ, ეს რუსეთის ინტერესებში არ შედის. სოხუმში ძალიან კარგად იციან, რას უმზადებს მათ რუსეთი, რისთვის სჭირდება რუსეთს რამდენიმე ქვეყნის აღიარება. ცხინვალში არსებული სეპარატისტული ჯგუფი ცდილობს, ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთდეს. ეს არის მათი ამოცანა. ამისთვის სჭირდებათ ე.წ. დამოუკიდებლობა.

***— თქვენი აზრით, ცხინვალის რეგიონში უფრო ცუდად არის საქმე?***

— დიახ, ამ მხრივ უფრო საშიში ვითარებაა ცხინვალის რეგიონში, ვიდრე აფხაზეთში.

# ირაკლი კობახიძე მანიაკია?

## დეპუტატები პარლამენტის თავმჯდომარისთვის ფსიქოლოგს ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე კვირის წინ ემზარ კვიციანი მოულოდნელად ჩაერთო ფეისბუქ-ლაივში. გაოგნებული დეპუტატი გამწარებული ყვიროდა, რას დავაჭირეო. რას დააჭირა კვიციანმა მაშინ, ეს ვერც თავად გაიგო და ვერც სხვებმა, მაგრამ, ამ ამბის შემდეგ განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კვიციანმა რაღაც ძალიან სერიოზულ ღილაკს დააჭირა. ამ ამბის შემდეგ პარლამენტი მთლიანად აირია.



დეპუტატებს ჯერ წითელი და მწვანე ღილაკები აერიათ, მერე მამუკა მდინარაძემ ეკა ბესელიას გაუგზავნა ეკა ბესელიას სალანძღავი ესემესი. გუშინ, 28 მარტს, კანონმდებლებმა ფსიქოს ჩატარება მოითხოვეს.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ პარლამენტის თავმჯდომარეს მანიაკი უწოდა და მისთვის ფსიქოლოგის გამოყოფაც კი მოითხოვა.

— პარლამენტის თავმჯდომარეს მანიაკალური თვისებები აქვს. აგერ, ზვიად კვაჭანტირაძე გადადგა და კაცი იმას იძახდა, მე უნდა გადავაყენოო. ჰგონია, რომ გარიცხვით რაღაცას მოიგებს, თავის თავს რომ აზიანებს, მაგასაც ვერ ხვდება.

კობახიძე დარბის და აბეზღებს ყველას. მალე დამთავრდება „მაბეზღარის“ ცხოვრება. სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ფსიქოტესტები უნდა გაიარონ პრეზიდენტობის კანდიდატებმაო. ვფიქრობ, ერთი ფსიქოლოგი პარლამენტის თავმჯდომარესაც სჭირდება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დავით ჭიჭინაძემ.

მას მხარი პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ადა მარშანიამ აუბა. მისი თქმით, ყველა ადამიანმა, რომელიც პოლიტიკაში მიდის, ფსიქოლოგიური ტესტი უნდა გაიაროს.

მარშანიას აზრით, ირაკლი კობახიძემ ნაადრევად და დაუმსახურებლად დაიკავა თანამდებობა, ამიტომაც ვერ უწევს თავს კონტროლს და პარლამენტს უცნაური მეთოდებით მართავს.

— რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ტესტებს, მიმაჩნია, რომ არა მხოლოდ პრეზიდენტობის ან პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა, არამედ, ვინც პოლიტიკაში მიდის და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა გადაწყვიტა, ფსიქოლოგიური ტესტი ყველამ უნდა გაიაროს, რადგან, ნაწილობრივ მაინც, ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრების ბედი პოლიტიკოსების ხელშია.

თავის დროზე დიდი შეცდომა იყო დაშვებული, რომ ირაკლი კობახიძე ამ მაღალ და ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა. ეს თანამდებობა მისთვის ჯერჯერობით ნამდვილად ნაადრევია. პარლამენტის თავმჯდომარეს პარლამენტის მართვის უცნაური მანერა აქვს. სამწუხაროდ და საუბედუროდ, მას ბოლომდე არ აქვს გააზრებული თავისი თანამდებობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა. ირაკლი კობახიძისთვის ეს თანამდებობა ნაადრევია, — აღნიშნა ადა მარშანიამ.

# თამაზ გაიაშვილი: „თუ სახელმწიფომ ავიაკომპანიებს ყურადღება არ მიაქცია, ვერანაირი გენერალური დირექტორი ვერ გვიშველის“



– თუ ქართულ ავიაკომპანიებს სახელმწიფომ არ გაუწია სერიოზული დახმარება და ყურადღება არ გაამახვილა ქართული ბიზნესის განვითარებაზე, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება და ვერანაირი ახალი გენერალური დირექტორი ვერ უშველის ვერაფერს. სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა ჰქონდეს ქართული ავიაკომპანიების დახმარება, – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ავიაკომპანია Georgian Airways-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ გაიაშვილმა განაცხადა.

გაიაშვილის თქმით, ეკონომიკის სამინისტრო საავიაციო სფეროში არსებულ მძიმე კონკურენტულ გარემოს და რთულ მდგომარეობას კარგად იცნობს, თუმცა რეალური ღონისძიებები ამის გამოსასწორებლად არ ხორციელდება.

– ეკონომიკის მინისტრთან მქონდა შეხვედრა და გავაცანი ჩვენი რთული მდგომარეობა. ძალიან ბევრი რუსული კომპანიაა შემოსული, რომლებიც დემპინგურად ყიდიან ბილეთებს. ისინი სამჯერ მეტ ფრენებს ახორციელებენ თბილისში, ვიდრე ჩვენ – რუსეთში. სახელმწიფო ამ კუთხით გვერდით არ გვიდგას. მათი პოზიციაა, რომ ხელისუფლება ტურიზმს ავითარებს და ვერ ხვდებიან, ავიაციაც საჭიროებს ყურადღებას.

თამაზ გაიაშვილმა ჟურნალისტებთან „ტავ ჯორჯიასთან“ არსებულ დავალიანებაზეც ისაუბრა.

– ჯერჯერობით საკითხი მოლაპარაკებების ფაზაშია. ჯერ კიდევ საკითხავი და დასათვლელია, თუ საიდან არის ეს დავალიანება წარმოშობილი. რეალურად ეს არის ვირტუალური ვალი და საბოლოო ჯამში შესაძლოა არ აღმოჩნდეს. მომსახურეობას ჩვენ თავს თავადვე ვუწევთ. უბრალოდ, „ტავ ჯორჯიასთან“ ასეთი ცნება აქვს, რომ უნდა გადავუხადოთ ფული, – განაცხადა თამაზ გაიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „ტავ ურბან ჯორჯიას“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ Georgian Airways-ს „ტავ ჯორჯიას“ მიმართ 9 მილიონი ლარის დავალიანება აქვს და, ოპერატორი კომპანიის მიერ შეთავაზებული გადახდის გრაფიკის შეთავაზების მიუხედავად, ავიაკომპანია ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე უარს ამბობს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ავიაკომპანია Georgian Airways არ შეასრულებს ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებას, „ტავ ჯორჯია“ იძულებული გახდება, შეუზღუდოს ავიაკომპანიას აეროპორტის სერვისებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა. „ტავ ჯორჯიას“ მიერ, Georgian Airways-ისთვის გაგზავნილი წინასწარი შეტყობინებებისა და არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ავიაკომპანია უარს ამბობს, დაიცვას თავისი მგზავრების ინტერესები და შეასრულოს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია „ტავ ჯორჯია“ უკვე 14 წელზე მეტია, ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციებით, ინფრასტრუქტურული პროექტებით, მოზიდული ავიაკომპანიების რაოდენობითა და მგზავრებისთვის ახალი მიმართულებების შეთავაზებით ქართული საავიაციო ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

**კომერსანტი**

## გიორგი ქობულია: „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის 1 აპრილიდან საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი ამოქმედდება“



– როგორც გპირდებოდით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 1 აპრილიდან ამოქმედდება საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, რომელიც გამიზნულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის, – ეს განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა საქართველოს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მედიის წარმომადგენლებთან გააკეთა. როგორც გიორგი ქობულიამ აღნიშნა, პროგრამა უკვე მომზადებულია, დასრულებულია ბანკებთან მოლაპარაკებები და, შესაბამისად, მიღებულია მთავრობის გადაწყვეტილებაც.

– ეს არის მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის იმ ნაწილს, რომელსაც არ აქვს საკმარისი ქონება სესხის აღების დროს ბანკში ჩასადებად, სახელმწიფო დაუდგება გარანტორად, რომ კომპანიამ აიღოს სესხი და განახორციელოს ბიზნეს-პროექტი. სესხები შეიძლება გაიცეს 50.000 ლარიდან 2 მილიონ ლარამდე. გარანტიის დაფარვის დონე ინდივიდუალურ სესხზე 70% იქნება, სქემის ფარგლებში გარანტიით უზრუნველყოფილი სესხების მთლიანი პორტფელის 15%-ის ფარგლებში, – აღნიშნა მინისტრმა. მისი შეფასებით, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ამოქმედება დამატებით ბიძგს მისცემს საშუალო და მცირე ბიზნესის სწრაფ განვითარებას.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის ოპერირებას და მონიტორინგს ეკონომიკის სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. სქემა დაფუძნებული იქნება პორტფელის გარანტიებზე და სესხის შეფასება განხორციელდება ბანკის მიერ.

– წელს პროგრამის ბიუჯეტი არის 20 მილიონი ლარი. სქემის ფარგლებში საკრედიტო გარანტიები გაიცემა მხოლოდ ლარის სესხებზე და გარანტიის მაქსიმალური ვადა 10 წელი იქნება, – აღნიშნა ქობულიამ გამართულ პრესკონფერენციაზე.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის ბენეფიციარი შეიძლება იყოს ყველა ის მეწარმე-სუბიექტი, რომლის საშუალო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ აღემატება 20.000.000 (ოც მილიონ) ლარს, ხოლო სასესხო ვალდებულებები 8.000.000 (რვა მილიონ) ლარს.

საგარანტიო თანხების განთავსება მოხდება კომერციულ ბანკებში გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე.

სქემის გამჭვირვალობის, ნდობისა და მმართველობის ხარისხის გასაძლიერებლად შეიქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო საგარანტიო სქემის ზედამხედველობასა და შედეგების მონიტორინგს.

საკრედიტო-საგარანტიო სქემა მთელ მსოფლიოში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს საკრედიტო საგარანტიო სქემა სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, თანხვედრაშია ევროპული ქვეყნების გამოცდილებასთან და ემყარება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების (OECD, EIB) მიერ შემუშავებულ პრინციპებსა და რეკომენდაციებს. სქემის დიზაინის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები.

## ლაშა პაპაშვილი „ვაკის საცურაო აუზის“ ყიდვას გეგმავს



ბიზნესმენი, უძრავი ქონების განვითარებისა და აქტივების მართვის კომპანია „შპს რედიქს ჯგუფის“ დამფუძნებელი ლაშა პაპაშვილი „ვაკის საცურაო აუზის“ (ე.წ. ბენდუქიძის აუზი) ყიდვას გეგმავს. ამის შესახებ ბიზნესმენმა „კომერსანტს“ ექსკლუზიურად განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ობიექტის ყიდვის შემთხვევაში, „ვაკის საცურაო აუზს“ პროფილი შეუნარჩუნდება. „ისტორიულად, ამ ადგილზე აუზია, სპორტია. აქ კორპუსების აშენებას თბილისის მერია არც უნდა დათანხმდეს და არც დათანხმდება,“ – აცხადებს პაპაშვილი.

რაც შეეხება იმას, როდის დაიდება გარიგება და როდის ეყოლება „ვაკის საცურაო აუზს“ ახალი მფლობელი, ამაზე პაპაშვილი ვერ საუბრობს და აცხადებს, რომ მსგავსი დეტალები „ვაკის საცურაო აუზის“ ადმინისტრაციასთან უნდა გავარკვიოთ. „არ ვიცი, ჯერ არ არიან ჩამოყალიბებულები. გამყიდველი არ არის ჩამოყალიბებული, ყიდის თუ არ ყიდის, ან რა ფასად? – აცხადებს პაპაშვილი.

რაც შეეხება თავად „ვაკის საცურაო აუზს“, კომპანიაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ გააკეთებენ.

შეგახსენებთ, „ვაკის საცურაო აუზის“ ყიდვას რამდენიმე თვის წინ „ლიდერბეთის“ მფლობელი აკაკი შუბითიძეც გეგმავდა. თუმცა, ორ ბიზნესსუბიექტს შორის ხელშეკრულება არ გაფორმებულა. მიზეზი, რის გამოც არ შედგა გარიგება, უცნობია. „ლიდერბეთში“ დღეს აცხადებენ, რომ „ვაკის საცურაო აუზით“ არც დაინტერესებულან, შესაბამისად, აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარს ვერ გააკეთებენ.

*სამართალი*

# სუსი: „საქართველოში „დაეშის“ გავლენა შემცირდა“



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში 133 პირი მიეცა.

ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშშია ნათქვამი, რომელიც პარლამენტს გადაეგზავნა.

ანგარიშის თანახმად, ამავე პერიოდში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 71 საქმეზე, მათ შორის, ქრთამის აღების – 21, ქრთამის მიცემის – 3, თაღლითობის – 12, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების – 4, მითვისების ან გაფლანგვის – 4, სამსახურებრივი გულგრილობის – 13, სამსახურებრივი სიყალბის – 8 და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე.

– 2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად არაერთი საჯარო მოხელე იქნა დაკავებული, მათ შორის, ქრთამის აღების ფაქტებზე – თბილისის საკრებულოს კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი; ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ცხვარიჭამიის ადმინისტრაციულ ერთეულში; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე და საგარეჯოს რაიონის საკრებულოს სოფელ უჯარმის დეპუტატი.

ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებული იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი და მისი მოადგილე. ამავე სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიეცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დააკავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი, ხოლო დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე – შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე. ამავე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, მთლიანობაში დაკავებულ იქნა აფთიაქების 5 მფლობელი და 14 დირექტორი. სულ პასუხისგებაში მიეცა 21 პირი, რომელთა მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისა და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 4.094.709 ლარი შეადგინა, – ნათქვამია ანგარიშში.

ამავე ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ირანის ისლამური რესპუბლიკის 7 მოქალაქე. ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში 2.097.000 ლარი შეადგინა.

გამოვლენილ იქნა 1.200-მდე პირი, რომლებიც ფიქციური დოკუმენტების საფუძველზე ცდილობდნენ საქართველოში ლეგალური ცხოვრების უფლების მოპოვებას.

– 2018 წელს 77 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე გაიცა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება, ხოლო ოთხს უარი ეთქვა გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით.

სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მსურველ 3.200-მდე ფიზიკურ პირზე განხორციელდა შემოწმების პროცედურა. 600-მდე პირზე განისაზღვრა ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი. 300-მდე პირს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებიდან გაეწია მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარება საიდუმლო საქმისწარმოებისა და საიდუმლო რეჟიმის დაცვის კუთხით.

როგორც სუს-ი განმარტავს, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიგრაციის არხების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კვლავ მაღალია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველთა რიცხვი.

– სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა 1.200-მდე პირი, რომლებიც ფიქციური დოკუმენტების საფუძველზე ცდილობდნენ საქართველოში ლეგალური ცხოვრების უფლების მოპოვებას. აღნიშნული პირების ქვეყნიდან გაძევების, ასევე ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით უსაფრთხოების სამსახური აქტიურად და კოორდინირებულად მოქმედებდა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად.

ქვეყანაში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე არ იქნა შემოშვებული უცხო ქვეყნის 139 მოქალაქე.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 21 საქმეზე. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 48 პირი.

2018 წელს საქართველოში გავლენის გაძლიერებით დაინტერესებული ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად აქტიურად იყენებდნენ „ჰიბრიდული ომის“ მეთოდებს. უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტივობების განხორციელებისას მიზნად ისახავდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას; მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას;

„ჰიბრიდული ომის“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა დეზინფორმაციული კამპანია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ვითარების მონიტორინგს და შესაბამის ღონისძიებებს ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების, აღკვეთის, ასევე მათგან მომდინარე უარყოფითი შედეგების შემცირება-განეიტრალების მიმართულებით. გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად აღკვეთილ იქნა „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება, – ნათქვამია დოკუმენტში.

# ოზურგეთში კინოთეატრი გაქურდეს



ოზურგეთში კინოთეატრი გაქურდეს. დაზიანებულია კინოთეატრის ფასადი და ფასადიდან მოპარულია ფერადი ლითონი.

კინოთეატრი რამდენიმე წელია, არ ფუნქციონირებს და ადგილობრივი ხელისუფლება მის რეაბილიტაციას გეგმავს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით საქმე აღძრულია სსკ-ის 177-ე მუხლით, რაც ქურდობას გულისხმობს. ჩადენილი დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# თელავში ახალგაზრდა ქალმა დედა დაჭრა

თელავში ახალგაზრდა ქალმა დედა ცივი იარაღით დაჭრა.

დაშავებულს დაზიანებები მარცხენა მხარის არეში აქვს მიყენებული.

შემთხვევა 27 მარტს, გვიან ღამით მოხდა. დაჭრის მიზეზი ურთიერთშელაპარაკება გახდა. დაშავებული შუახნის ქალი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მოათავსა.

ექიმის თქმით, ქალს ჩაუტარდა ყველა საჭირო სამედიცინო დახმარება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია.

მედიკოსებმა დაშავებული კლინიკიდან უკვე გაწერეს.

შს სამინისტროში აცხადებენ, რომ საქმეზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო.

დაჭრაში ბრალდებული გოგო პოლიციამ უკვე დააკავა.

# გურიაში სამაშველოს თანამშრომელი რომეო ჩხაიძე დაიღუპა

ოზურგეთი-შემოქმედის დამაკავშირებელ გზაზე მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და რკინის კონსტრუქციას დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად ადგილზე დაიღუპა ოზურგეთის სამაშველო სამსახურის თანამშრომელი რომეო ჩხაიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამაშველო სამსახურის თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის დროს არ დაღუპულა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ჰოლანდიაში ჩატარებულმა დნმ ანალიზმა ტექსელის კუნძულზე დაღუპული ორი ქართველი ჯარისკაცის იდენტობა დაადგინა

ჰოლანდიაში ჩატარებულმა დნმ ანალიზმა ლეუსდენში, ტექსელის კუნძულზე დაღუპული ორი ქართველი ჯარისკაცის იდენტობა დაადგინა. აღნიშნული ანალიზი ჰოლანდიის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტმა ჩაატარა.



ჰოლანდიური მედიის ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დნმ ანალიზმა უდავოდ დაადგინა აქამდე უცნობი ჯარისკაცების ვინაობა. მკვლევარმა რემკო რეიდინგმა განაცხადა, რომ ანალიზი 100%-ით იძლევა იმის თქმის საშუალებას, თუ ვინ არის საფლავში დაკრძალული და წარწერა „უცნობი ჯარისკაცი" შეიძლება შეიცვალოს. საუბარია ქართველ ჯარისკაცზე, ფიდო ჭოლიაშვილზე და ანტონ გვინიაშვილზე. მკვლევარი რემკო რეიდინგი საქართველოში იყო და პირადად მოუყვა აღნიშნული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს ამ ამბის შესახებ.

# თაღლითობა არჩევნების სახელით და მილიონობით ლარის მითვისების მცდელობა

## სუსმა 4 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე საქართველოს ოთხი მოქალაქე: გურამ გ., გიორგი კ., ტარიელ ი. და რამაზ ი. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები ერთ-ერთი კომპანიის დირექტორს, 2.700.000 ლარის მათთვის გადახდის სანაცვლოდ, კომპანიის საბანკო ანგარიშებზე სახელმწიფოს მიერ დადებული ინკასოსა და ყადაღის მოხსნას ჰპირდებოდნენ და არწმუნებდნენ, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროში, საკუთარი გავლენისა და ნაცნობობის გამოყენებით, უზრუნველყოფდნენ მისთვის რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ღირებულების მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის კონკურენციისა და ტენდერში მონაწილეობის გარეშე გადაცემას.



„ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები კომპანიის წარმომადგენლების მოტყუებით თაღლითურად დაეუფლნენ მოთხოვნილი თანხის ნაწილს – 10.000 აშშ დოლარს, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ისინი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი კ.-მ 2016 წლის საპარლამენტო და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ზემოხსენებული კომპანიის წარმომადგენელს ვითომდა არჩევნების დასაფინანსებლად და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნებისთვის გადასაცემად სამ ეტაპად, ჯამში მოტყუებით 350.000 ლარი გამოართვა.

გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

საქმეზე მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს", – აცხადებენ უწყებაში.

# სროლა ვაკეში

## თ.ნ.-მ მოქალაქეს მობილური წაართვა და მიიმალა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძარცვისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-დან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ნ. ძარცვისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გვიან ღამით თბილისში, ვაკეში, ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში გაისროლა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ქუჩაში შემხვედრ მოქალაქეს მობილური ტელეფონი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა თ.ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო „ბერეტას" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით და 7 ვაზნა, ასევე, იარაღის მაყუჩი და დანაშაულებრივი გზით დაუფლებული მობილური ტელეფონი.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ძარცვისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ"ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით.

# გია ვოლსკის სახლი გაქურდეს

„ქართული ოცნების" წევრ გია ვოლსკის აგარაკი სოფელ ახატანაში გაქურდეს. შემთხვევა რამდენიმე კვირის წინ მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სახლში მძარცველებმა პირველი სართულიდან შეაღწიეს. მათივე თქმით, ადგილზე რამდენჯერმე იმყოფებოდნენ თავად დეპუტატი და სამართალდამცავები.

გია ვოლსკი თავის სახლთან დაკავშირებულ შემთხვევას ძარცვას არ უწოდებს.

როგორც დეპუტატმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, შემთხვევა დაახლოებით თვე-ნახევრის წინ მოხდა და ამის თაობაზე მას ჟურნალისტებმა ჯერ კიდევ მაშინ ჰკითხეს, როცა მედიით არჩილ თალაკვაძის სახლის გაქურდვის ფაქტი გაშუქდა.

– ახლა ვიღაცამ თემა ხელახლა წამოსწია. ახატანის სახლში ძალიან იშვიათად მივდივარ. იქ გასაძარცვიც არაფერია. პირველ სართულზე ფანჯრის რაფა იყო ჩატეხილი – სულ ეს არის. შეიძლება, ვინმემ ქვა ესროლა, შეიძლება – ჩატეხა. სახლიდან რაიმე დაკარგული არ არის. ფანჯრის რაფაზე, სავარაუდოდ, სამუშაო ინსტრუმენტი – სახრახნისი იდო, მაგრამ ზუსტად არც კი მახსოვს, იდო თუ არა. თუკი ის წაღებულია, შეიძლება, ძარცვა დავარქვათ, მაგრამ მე ძარცვას არ ვარქმევ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს" გია ვოლსკიმ.

დეპუტატის ინფორმაციით, მომხდარზე მას პოლიციისთვის არ მიუმართავს.




# მინისტრ ქობულიას სახლის გაქურდვისთვის 1 პირი დააკავეს



ეკონომიკის მინისტრის საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტზე სამართალდამცველებმა ერთი პირი დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 1990 წელს დაბადებულმა მამაკაცმა დაბა წყნეთში მდებარე გიორგი ქობულიას სახლიდან სხვადასხვა ნივთი მოიპარა. ეკონომიკის მინისტრის სახლიდან მოპარული ნივთები ჩხრეკისას იპოვეს. მათ შორის იყო მინისტრის ტანსაცმელი – ქურთუკი და სხვა სამოსი.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# პოლიციამ მარნეულის საკრებულოს ნაციონალი წევრი დააკავა

გუშინ, 28 მარტს, პოლიციამ მარნეულის საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის წევრი რაგიმ ასკეროვი დააკავა.

მის სახლში ჩხრეკა ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ასკეროვი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. უწყება ავრცელებს ვიდეომტკიცებულებასაც.

გამოძიების მიხედვით, ასკეროვი მოქალაქეს 3 ათასი ლარის სანაცვლოდ ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებას ჰპირდებოდა.

ბრალდებას არ ეთანხმება ადვოკატი, რომელიც აცხადებს, რომ ჩხრეკისას სახლიდან წაიღეს ისეთი ნივთებიც, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვს. სწორედ ამის გამო, ასკეროვის ინტერესების დამცველი ამბობს, რომ ჩხრეკა დარღვევებით ჩატარდა.

პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრ აზერ სულეიმანოვს რაგიმ ასკეროვის მიერ ქრთამის აღების არ სჯერა.

ასკეროვის თანაგუნდელი აგილ მუსტაფაევი ამბობს, რომ საკრებულოს წევრი მარნეულში გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

# მოჩხუბარი ახალგაზრდების გაშველებისას 2 პოლიციელი დაშავდა

## რა მოხდა ქობულეთში

ქობულეთში ახალგაზრდებს შორის ჩხუბის დროს სამართალდამცავები დაშავდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, ახალგაზრდების გაშველებისას ქობულეთის პოლიციის 2 თანამშრომელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

პირველადი ინფორმაციით, სამართალდამცავების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევა 27 მარტს მოხდა.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს და თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით ითვალისწინებს. უწყების ცნობით, მომხდარის გამო ერთი პირია დაკავებული.





# ტერეზა მეი: „მზად ვარ, გადავდგე!“

ბრიტანეთის პრემიერი ტერეზა მეი პარლამენტის დეპუტატებს შეხვდა. მან განაცხადა, რომ როგორც კი პარლამენტი ბრექსიტს მხარს დაუჭერს, გადადგება.

მეის კანცელარიამ ეს ინფორმაცია დაადასტურა.

მეის თავისი გადადგომის ზუსტი ვადა არ დაუსახელებია. ვარაუდობენ, რომ ეს ამა წლის ზაფხულში მოხდება.

# კატასტროფა ყაზახეთში

ყაზახეთში თავდაცვის სამინისტროს ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა. ბორტზე 13 სამხედრო იმყოფებოდა.



ყაზახეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა აკმაევმა დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. მან თქვა, რომ კატასტროფის მიზეზს საგანგებოდ გამოიძიებენ, დამნაშავეებს კი დასჯიან.

# ტრამპი: „რუსები ვენესუელიდან უნდა წავიდნენ!“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთმა ვენესუელიდან ჯარი დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს.

– საკითხი კატეგორიულად დგას: რუსები ვენესუელიდან უნდა წავიდნენ! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ამის მისაღწევად ნებისმიერი ვარიანტია შესაძლებელი.

თავის მხრივ, ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმაც განაცხადა:

– რუსეთმა ვენესუელაში პროვოკაციული ქმედებები უნდა შეწყვიტოს და მადუროს რეჟიმის მხარდაჭერას თავი დაანებოს!

# ალიევი და პაშინიანი დღეს ვენაში ერთმანეთს შეხვდებიან



სომხეთის პრეზიდენტი პაშინიანი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი ერთმანეთს ვენაში შეხვდებიან. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ყარაბაღის კონფლიქტი იქნება.

შეხვედრა 29 მარტს შედგება. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ეს ოფიციალურად დაადასტურა.

# სიეტლში მამაკაცმა სროლა ატეხა და მანქანა გაიტაცა



## 2 ადამიანი დაიღუპა, 2 დაშავდა

მსხვერპლი მოჰყვა სროლას სიეტლში. შეიარაღებულმა მამაკაცმა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ჯერ მსუბუქი ავტომობილის მძღოლს ესროლა, შემდეგ კი ცეცხლი იქვე მდგარ ავტობუსს გაუხსნა.

მამაკაცმა მანქანის გატაცება ცადა, თუმცა მალევე ავტოავარიაში მოყვა.

მომხდარის შედეგად დაიღუპა 2 ადამიანი, საავადმყოფოში 2 დაშავებულია გადაყვანილი. პოლიციამ თავდამსხმელი დააკავა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სტუდენტებმა ტანსაცმლისა და საკვების გარეშე სამი კვირა ჯუნგლებში იცხოვრეს



ორი ბრიტანელი სტუდენტი მალაიზიის ჯუნგლებში სამი კვირით გაემგზავრა ყოველგვარი ტანსაცმლისა და საკვების გარეშე.

26 წლის დენიელ ოლიფიმ და 27 წლის ჯეიმს მონინხენმა გადაწყვიტეს, საკუთარი შესაძლებლობები შეემოწმებინათ და ამისთვის შუაგულ ჯუნგლებში გაემგზავრნენ, თან წაიღეს მხოლოდ მაჩეტე, კაჟი ქვა ცეცხლის დასანთებად, მწერებისგან დასაცავი ბადე, ლითონის ქოთანი წყლით და ნაკრები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

წყალი მათ ადგილზე ჩასვლიდან რამდენიმე საათში გაუთავდათ. სანამ მონინხენი წყაროს მოსაძებნად გაემართა, ოლიფიმ ღამის გასათევი ადგილის მომზადება დაიწყო. ამ დროს მან მაჩეტეთი ხელი გაიჭრა შეეცადა, სისხლდენა შეეჩერებინა და ამისთვის სუპერწებოს გამოყენება ცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. დილით მათ ჯუნგლების დატოვება მოუხდათ, ისინი გზაზე გამოვიდნენ და გამვლელი მანქანა გააჩერეს, რომლითაც საავადმყოფოში მივიდნენ. იქ ბრიტანელს ნაკერები დაადეს, რის შემდეგაც სტუდენტები ჯუნგლებში დაბრუნდნენ.

– დასაძინებლად დაწოლა საშიში იყო, შეიძლება, შიგნით გველს შემოეღწია და დაეკბინე, ან სულაც შეიძლება, გაიყინო. ასეთ მომენტებში ხვდები, რომ სწორედ ასე იღუპებიან ჯუნგლებში სულელები და მათ გვამებსაც კი ვერ პოულობენ, – აღიარა ოლიფიმ, თუმცა, იქვე დაამატა, რომ ამ თავგადასავალს არ ნანობს.

ჯუნგლებში გატარებული სამი კვირის განმავლობაში მეგობრებმა წონაში 20 კილოგრამი დაიკლეს. ისინი ძირითადად ხილითა და მწერებით იკვებებოდნენ, ზოგჯერ შიმშილისგან გონებასაც კი კარგავდნენ, ღამღამობით კი კოკისპირულ წვიმაში სიცივისგან კანკალებდნენ.

# ძაღლმა ნარკოტიკებით სავსე ტომარა პატრონს მიუტანა



ტაილანდის ქალაქ ლამპანგში ძაღლმა იპოვა ნარკოტიკები, პატრონის სახლთან მიათრია და შემდეგ მთელ ეზოში მიმოფანტა.

მეზობელმა პირველმა შენიშნა, რომ ძაღლი, სახელად ტუნი, რაღაც პლასტიკატის შეკვრებით თამაშობდა. ქალმა იფიქრა, რომ ცხოველმა ისინი ნაგავსაყრელიდან მოათრია, თუმცა, როდესაც დააკვირდა, მათ შიგნით ნარინჯისფერი აბები შენიშნა. ძაღლის პატრონმა ქალმა არ იცოდა, მისმა შინაურმა ცხოველმა ისინი სად იპოვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ქალის ეზოში 3680 აბი მეტამფეტამინი იპოვეს და ახლა ისინი მათი წარმომავლობის დადგენას ცდილობენ. ძირითადი ვერსიის თანახმად, ძაღლმა მას ტყეში მიაგნო, სადაც ისინი კონტრაბანდისტებმა დამალეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ქუთაისი რეგულარული სეზონის მოგებასთან ახლოს არის

**კაკტუსი-ქუთაისი 83:90**
(19:26, 24:23, 19:25, 21:16)

ერთმანეთს ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი ქუთაისი და ერთ-ერთი აუტსაიდერი – კაკტუსი შეხვდნენ. იმერულ კლუბს უახლოეს მდევართან 3-ქულიანი უპირატესობა აქვს, რომლის განიავებაც დარჩენილ 3 ტურში თითქმის შეუძლებელია, კაკტუსი კი იმისთვის იბრძვის, რომ სუპერლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ყველაფერი გააკეთეს, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ გაცილებით ძლიერი მეტოქის დამარცხება ვერ მოახერხეს.

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ინიციატივა თავიდანვე მოიპოვეს და პირველი პერიოდის შემდეგ 7 ქულით – 26:19 დაწინაურდნენ. მეორე ათწუთეულში კაკტუსმა თამაში გამოასწორა, თუმცა ჩამორჩენის 1 ქულით შემცირებაზე მეტი ვერ შეძლო. დიდი შესვენებისთვის სტუმრები 6 ქულას იგებდნენ. გარდატეხა მესამე პერიოდში მოხდა, რომელიც ქუთაისელებმა 25:19 მოიგეს და ბოლო 2-წუთიან შესვენებაზე ხელჩასაჭიდი ლიდერობით გავიდნენ – 74:62.

ბოლო პერიოდში კაკტუსელები ბევრს ეცადნენ და შანსსაც ბოლო წუთამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა სუპერლიგის ლიდერმა უშეცდომოდ ჩაატარა დასკვნითი ეპიზოდი და გამარჯვებამდე მივიდა – 90:83.

ქუთაისელთაგან 22 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი, ხოო დეჟან რაიტისა და ჯონათან ლის ანგარიშზე 17-17 ქულა დაგროვდა. 13 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა გიორგი ბარბაქაძემ. კაკტუსში 41 ქულით დელანო სპენსერი გამოირჩა, რომელმაც მიმდინარე სეზონის თავისივე რეკორდი (34 ქულა) გააუმჯობესა.

**ოლიმპი-დინამო 65:77**
(18:14, 19:17, 19:13, 9:33)

დინამოსა და ოლიმპის მატჩი მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლდათ იმით, რომ ბოლო პერიოდში 12 ქულით ჩამორჩენილმა გუნდმა იმარჯვა. სწორედ ამ სხვაობით იგებდა ოლიმპი (56:44), ბოლო მეოთხედი რომ დაიწყო. შეხვედრის დასრულებამდე 8 წუთით ადრე კი ოლიმპელთა ლიდერობა 11 ქულას შეადგენდა. ამის შემდეგ დაიწყო დინამოელთა ზეშედეგიანობა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ის კალათბურთი ითამაშა, რისკენაც ნებისმიერი მწვრთნელი მიილტვის. მატჩის დარჩენილი 8 წუთი დინამოელებმა 27:4 მოიგეს და 12 ქულით – 77:65 იმარჯვეს.

დინამომ, რომელიც თითქოს განწირული ჩანდა, მიმდინარე სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩამორჩენა გააბათილა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ოლიმპმა კი ის ნაჯაფი, რომელიც 3 პერიოდის განმავლობაში აგროვა და თითქოს გასამარჯვებლად საკმაო ლიდერობაც მოიპოვა, 8 წუთში წყალში ჩაყარა და დასანანი მარცხი იწვნია.

დინამოელებს ხორვატმა ცენტრმა დემაგოი ბუბალომ ულიდერა, რომელმაც 24 ქულაა და 13 მოხსნა მიითვალა. ბოლო პერიოდის ერთ-ერთმა გმირმა ჯორდან სვოპშირმა 18 ქულა მიითვალა, ხოლო რეჯერ დოუელმა გამარჯვებულებს 14 ქულა მიაშველა. ოლიმპში 21 ქულით საუკეთესო შედეგი დააფიქსირა ტრე ბენეტმა. 12 ქულა რევაზ როგავას ანგარიშზეა.

**დელტა-ტიტები 87:86**
(20:24, 25:25, 18:11, 24:26)

დიდი ბრძოლა შედგა დელტასა და ტიტებს შორის. ამ გუნდებს განსხვავებული მიზნები აქვთ. დებიუტანტ ტიტებს ჯერ სუპერლიგაში დარჩენის საკითხი აქვთ გადასაჭრელი და ეს თამაში რომ მოეგო, ბევრად დამშვიდებული იქნებოდა. რაც შეეხება დეტლას, ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ გუნდს ლიგაში დარჩენის საკითხი გადაჭრილი აქვს და პლეი ოფში რაც შეიძლება კარგი პოზიციიდან შესვლას უმიზნებს.



მატჩი ერთქულიანი სხვაობით დელტას სასარგებლოდ დასრულდა. პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში გაილია. ხან ერთი გუნდი იგებდა, ხან – მეორე. დიდ შესვენებაზე ტიტები 4-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა, მაგრამ მესამე პერიოდში დელტას ამერიკელმა უკანახაზელმა, მალკოლმ დრამრაითმა სამიზნე გაისწორა, მას თანაგუნდელებიც აყვნენ და 18:11 მოგებული მეოთხედის შემდეგ უკვე ლაფანაშვილის გუნდი დაწინაურდა 3 ქულით.

ბოლო ათწუთულში დელტელებმა განაგრძეს შედეგიანი თამაში და უპირატესობა 10 ქულამდეც გაზარდეს, მაგრამ ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილი ტიტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდი არ გატყდა და დარჩენილ დროში მოგების რეალური შანსი მოიპოვა. ბოლო 2 წუთში კარგი დაცვის ხარჯზე ტიტებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს და მატჩის დასრულებამდე 7 წამით ადრე შეტევის უფლებაც მოიპოვეს. გადამწყვეტი შეტევა ტიტელთაგან ყველაზე შედეგიანმა კაჰიმ რენსომმა ითავა, რომელსაც გარღვევის განხორციელება მეტოქეთა აქტიური მეურვეობის გამო არ გამოუვიდა და დროც ამოიწურა – 87:86.

დელტას რიგებში 30 ქულით მალკოლმ დრამრაითი გამოირჩა. 19 ქულა მოაგროვა ოთო ფხაკაძემ, ხოლო ბექა ბექაურმა 12 ქულას 13 მოხსნაც მოაყოლა. ტიტებში 27 ქულითა და 9 პასით საუკეთესო იყო რენსომი, ხოლო ილია ლონდარიძის ანგარიშზე 22 ქულა დაგროვდა.

**ბათუმი-თსუ ჰიუნდაი 82:71**
(24:20, 25:21, 18:13, 15:17)

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ბათუმმა თსუ-ჰიუნდაის უმასპინძლა და ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა – 82:71.

ბათუმელები 3 ტურის წინ ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იყვნენ და სუპერლიგიდან გავარდნის სერიოზული საფრთხე ემუქრებოდათ, თუმცა ბოლო 2 მატჩი მოიგეს და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს. გასულ ტურში დელტას, ხოლო ამჯერად თსუ-ჰიუნდაის დამარცხებით ბათუმი მე-7 ადგილზე ალზევდა და კონკურენტ კაკტუსს – 2, ხოლო ტიტებს ქულით უსწრებს.

მატჩში სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ფავორიტად თსუ-ჰიუნდაი ითვლებოდა, თუმცა ეს თამაშმა ვერ გამოაჩინა. ბათუმელებმა თავიდანვე რომ მოიპოვეს ლიდერობა, მთელი თამაში თავს კომფორტულად გრძნობდნენ და საბოლოოდ დამაჯერებლად გაიმარჯვეს კიდეც.

არადა, ზღვისპირელებს ხუთეულის 2 წევრი – ნოდარ გოგოძე და დეიან იეფტიჩი აკლდათ. თუმცა მოწოდების სიმაღლეზე იყო კეისი შეპარდი, რომელმაც 28 ქულა, 7 პასი, 6 ჩაჭრა და 5 მოხსნა მოაგროვა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 40-ს უწია, რაც მიმდინარე სეზონის მეორე საუკეთესო შედეგია ოლიმპელი მარკ ოგდენის (46) შემდეგ. 19 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა სტეფან ანდრეიევიჩმა, 11 ქულა და 10 მოხსნა კი ლევან ელიაძის ანგარიშზეა.

თსუ-ჰიუნდაიში 18 ქულა მიითვალა მარკუს პოზლიმ, 16 – ვიქტორ ნიკერსონმა, ხოლო გიორგი კორსანტიას ანგარიშზე 7 ქულა და 17 მოხსნა დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 15 | 13 | 2 | 1264:1164 | 28 |
| 2.დინამო | 15 | 10 | 5 | 1127:1075 | 25 |
| 3.დელტა | 15 | 9 | 6 | 1170:1090 | 24 |
| 4.თსუ ჰიუნდაი | 15 | 8 | 7 | 1214:1196 | 23 |
| 5.ოლიმპი | 15 | 8 | 7 | 1209:1168 | 23 |
| 6.მგზავრები | 14 | 9 | 5 | 1150:1070 | 23 |
| 7.ბათუმი | 15 | 6 | 9 | 1149:1211 | 21 |
| 8.ტიტები | 15 | 5 | 10 | 1185:1237 | 20 |
| 9.კაკტუსი | 15 | 4 | 11 | 1161:1294 | 19 |
| 10.რუსთავი | 14 | 2 | 12 | 1011:1135 | 16 |

# ბაიერნმა ლუკას ერნანდესი გაიფორმა

2019 წლის 1 ივლისს ლუკას ერნანდესი მადრიდის ატლეტიკოდან მიუნხენის ბაიერნში გადავა. ასეთ შეთანხმებას მიაღწია ორივე კლუბმა და 23 წლის მცველმა რეკორდმაისტერთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელს.

მადრიდული კლუბი აღნიშნული ტრანსფერიდან 80 მილიონ ევროს მიიღებს.

**ჰასან სალიჰამიჯიჩი, ბაიერნის სპორტული დირექტორი:**

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ლუკას ერნანდესის შეძენა მოვახერხეთ. ის პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი და მსოფლიოს ჩემპიონია. ლუკასს თამაში შეუძლია როგორც დაცვის ცენტრში, ასევე – მარცხენა ფლანგზე. ამავდროულად, ის გააგრძელებს ბაიერნში ფრანგი ფეხბურთელების ტრადიციებს. ერნანდესი ჩვენს გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.



რადგანაც სამედიცინო გამოკვლევის დროს დადგინდა, რომ ფეხბურთელს მარჯვენა მუხლის შიდა მყესების დაზიანება აქვს, ერნანდესს ატლეტიკოს თანხმობით ოპერაცია გაუკეთდება.

– სამედიცინო შემოწმების დროს დავადგინეთ, რომ დაზიანებულია მარჯვენა მუხლის შიდა მყესები. საჭირო იქნება ოპერაცია. ლუკას ერნანდესი 2019-20 წლების სეზონის დასაწყისისთვის იქნება მზად, – წერია ბაიერნის სამედიცინო დასკვნაში.

**ლუკას ერნანდესი:**

– ეს ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა. ბაიერნი ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ვამაყობ, რომ ახლა ტიტულებისთვის ბაიერნთან ერთად ვიბრძოლებ! მინდა მადლობა ვუთხრა ატლეტიკოს ხელმძღვანელობას, მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს, ასევე გულშემატკივრებს დიდებულად გატარებული 12 წლის გამო. ატლეტიკო ყოველთვის ჩემი ნაწილი იქნება. მოუთმენლად ველი რეკორდმაისტერთან ერთად შემდეგ ნაბიჯს.

ლუკას ერნანდესი 1996 წელს ქალაქ მარსელში დაიბადა. 2007 წლიდან ფრანგი მადრიდის ატლეტიკოს ღირსებას იცავს. 2014-15 წლების სეზონიდან მოყოლებული, ერნანდესმა 110 მატჩში მიიღო მონაწილეობა. 2016 წელს ცენტრალური მცველი, რომლის კონტრაქტიც ატლეტიკოსთან 2024 წლამდე იყო გათვლილი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, 2018 წელს ევროპის ლიგის გამარჯვებული გახდა, ხოლო შემდეგ რუსეთში მიაღწია საკუთარი კარიერის კულმინაციას, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეძლო.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# სოლსკიაერი: „ისეთ ისტორიას შევქმნი, როგორსაც გულშემატკივრები იმსახურებენ“



მანჩესტერ იუნაიტედმა ახალი მწვრთნელის შესახებ გამოაცხადა. თუმცა, ეს ახალი კარგად ნაცნობი ძველია – „წითლებს“ სათავეში კლუბის ლეგენდა და ყოფილი ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი ჩაუდგება. სოლსკიაერი დროებითი მწვრთნელის თანამდებობას ასრულებდა, მაგრამ მისი გარჯით კმაყოფილმა კლუბმა ნორვეგიელთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სოლსკიაერმა მანჩესტერში ფეხბურთელის რანგში 366 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც 126 გოლი გატანა მოახერხა. მწვრთნელად კი იუნაიტედში 2018 წლის 19 დეკემბერს მოგვევლინა. პირველ 8 მატჩში გამარჯვება მოიპოვა და საერთო ჯამში 19 მატჩიდან 14 მატჩში მოახერხა მეტოქის დამარცხება.

**ოლე გუნარ სოლსკიაერი:**

– მოსვლის დღიდანვე ვიგრძენი, რომ სახლში ვიყავი და თანაც ამ განსაკუთრებულ კლუბში. ჩემთვის დიდი პატივი იყო მანჩესტერ იუნაიტედში თამაში და ახლა უფრო დიდი პატივია აქ მწვრთნელად მოსვლა. ბოლო რამდენიმე თვე ფანტასტიკური გამოცდილება მივიღე და მსურს, რომ ყველა მწვრთნელს, ფეხბურთელსა და სამუშაო პერსონალს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც გააკეთეს. ეს ის სამსახურია, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი.

ძალიან აღელვებული ვარ და არ ვიცი, მეტი რა უნდა ვთქვა. უბრალოდ, ვიმედოვნებ, რომ აქ წარმატებულ კარიერას გავაგრძელებ და ისეთ ისტორიას შევქმნი, როგორსაც ჩვენი ბრწყინვალე გულშემატკივრები იმსახურებენ.

***– როგორი შეგრძნებაა ამ დიდებული კლუბის მუდმივ მწვრთნელად დანიშვნა?***

– ჩემთვის ეს დიდი პატივია. ამაზე ბოლო რამდენიმე თვე სულ ვსაუბრობდი და ვახსენებდი, რომ ეს ყველა მწვრთნელისთვის და განსაკუთრებით იმ მწვრთნელებისთვის, რომლებსაც იუნაიტედთან რამე აკავშირებთ, საოცნებო სამსახურია. მომეცა შესაძლებლობა, რომ გაცილებით წინ წავიდეთ და ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებ, რაც ჩემს ხელთაა. ფანტასტიკური, საოცარი შეგრძნებაა.

***– კლუბის ბრწყინვალე გულშემატკივრები ძალიან გამხნევებენ და გვერდში გიდგანან. ეს როგორი შეგრძნებაა?***

– ყოველთვის ასე იყო, მათი მხარდაჭერა არასდროს მაკლდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე თვე უბრალოდ სიგიჟე იყო. ისინი უბრალოდ საოცრებებს აკეთებდნენ, ფეხბურთელებისთვის, სამწვრთნელო შტაბისთვის, ჩემთვის. ამ ყველაფერს ვხედავთ, ვგრძნობთ და ვაფასებთ და ვიმედოვნებთ, რომ მათ გაბედნიერებას შევძლებთ და გადავუხდით.

***– გულშემატკივრების გარდა, თქვენ მთელი სამუშაო პერსონალი გვერდში გიდგათ. ეს როგორი შეგრძნებაა?***

– რა თქმა უნდა, საოცარი. ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ყველა გვერდში მიდგას, მამხნევებს და ჩემი სჯერათ. ყველანაირად ვეცდები, რომ მათი რწმენა და იმედები არ გავაცრუო და საოცარი შედეგები და თამაშები შევთავაზო. ეს მხოლოდ ხელმძღვანელობას არ ეხება, ეს აბსოლუტურად ყველას ეხება, ვინც იუნაიტედში მუშაობს. 3 დიდებული თვე გავატარე აქ მათი წყალობით და იმედია, მათთვის მადლობის გადახდას შევძლებ.

***– რადგანაც სამუშაო პერსონალზე ვსაუბრობთ, სამწვრთნელო შტაბსაც შევეხოთ. ისინი რამდენად დაგეხმარნენ ოცნების ასრულებაში?***

– რა თქმა უნდა, ის, რაც დღეს კლუბში ხდება, მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. ეს გუნდური მუშაობის შედეგია. ეს ყველამ ერთად შევძელით, სამწვრთნელო შტაბმა და ფეხბურთელებმა. საოცარი კოლეგები მყავს და ყოველდღე მათთან ერთად მოსვლა და ვარჯიში, უბრალოდ, მიხარია.

***– იუნაიტედში ფეხბურთელის რანგში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ იმავეს განხორციელებას მწვრთნელის რანგშიც?***

– ეს არის სწორედ მანჩესტერ იუნაიტედის მოთხოვნა. ეს კლუბი ყოველთვის გამარჯვებისთვის, წარმატებისთვის, ტიტულების მოპოვებისთვის იბრძვის. ასეთია მანჩესტერ იუნაიტედი. პირადად ჩემთვის ეს ყველაფერი უდიდესი გამოწვევაა, მაგრამ ვიცოდი, რომ მარტივი არ იქნებოდა. ჩემი მიზანი ახლა იუნაიტედისთვის შიშის ფაქტორის დაბრუნებაა. ეს კლუბი ყოველწლიურად უფრო და უფრო საშიში და რთული უნდა გახდეს მეტოქისთვის.

***– წინ ბევრი გამოწვევა გელით. რამდენად ნერვიულობთ ამ გამოწვევებზე?***

– მე ხელმძღვანელობას ამ სამსახურზე არ დავეთანხმებოდი, ამ გამოწვევებს მოუთმენლად რომ არ ველოდე. მე ჩემი კლუბისა და ფეხბურთელების პოტენციალის მჯეროდა და მწამდა, სწორედ ამიტომ მივიღე ეს შემოთავაზება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ქალი თვალების გადიდებამ წარბების გარეშე დატოვა



ჩინელმა ქალბატონმა პლასტიკური ქირურგები უყურადღებობაში დაადანაშაულა მას შემდეგ, რაც ოპერაციის დროს მას ქუთუთოების ნაწილი მოაჭრეს.

ანხოის პროვინციის ქალაქ ბენბუს მკვიდრი გავარად ლიუ ქორწილიდან მალევე თვალების გასადიდებლად საავადმყოფოში ოპერაციის გასაკეთებლად მივიდა. მას სურდა, რომ მისთვის მოეცილებინათ ეპიკანტუსი – „მონღოლური ნაკეცი“, რათა თვალები გასდიდებოდა. ექიმებმა მას ასევე თვალის კუთხეების აწევაც შესთავაზეს.

მაგრამ პროცედურა ისე არ წარიმართა, როგორც ამას ლიუ მოელოდა. ექიმებმა თვალებში ინფექცია შეიტანეს. ამის გამო, როდესაც ქალი ნარკოზიდან გამოვიდა, მისი თვალები ხრწნადაწყებული მოლუსკივით გამოიყურებოდნენ.

– ყველგან ჩირქი იყო, მთელი წარბები დამცვივდა, – განაცხადა ქალმა.

როდესაც ანთება ჩაცხრა, ლიუმ აღმოაჩინა, რომ მას ქვედა ქუთუთოების ნაწილი აღარ ჰქონდა. ექიმების თქმით, ის აღარ აღუდგება.

საავადმყოფოს ხელმძღვანელი ქალისთვის გაკეთებულ ოპერაციას წარუმატებლად არ მიიჩნევს და პაციენტის უკმაყოფილებას „სუბიექტურს“ უწოდებს. ლიუს კომპენსაციის სახით 20 ათასი იუანი შესთავაზეს. ქალი კი ამ თანხას არასაკმარისად მიიჩნევს. ის კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთებას აპირებს ქუთუთოების ფორმის შესალამაზებლად.

# ბრიტანელი ქალი ღამით ჭამას დაავადებით ამართლებს

ბრიტანეთის ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ფერჰამის მკვიდრმა ქალბატონმა ისაუბრა თავის უიშვიათეს დაავადებაზე, რომელიც აიძულებს, მავნე პროდუქტები ღამით ჭამოს.



დღისით ლაურა ბატაჩელი დიეტას იცავს, ჭამს მხოლოდ ხილს, ბოსტნეულს, თხილს, მარცვლეულსა და თევზს. 46 წლის ქალი ამტკიცებს, რომ 28 წლის ასაკიდან აღარ ჭამს ხორცს წმინდა ეთიკური თვალსაზრისით, სოლო ფასტფუდსა და ტკბილეულზე ჯანმრთელობისა და ფიგურის შესანარჩუნებლად თქვა უარი. ბატაჩელი ჯაზის მომღერლად მოღვაწეობს და ამიტომ საგულდაგულოდ ზრუნავს საკუთარ გარეგნობაზე.

თუმცა, დაახლოებით ათი წლის წინ ის დროდადრო დილით პირში შოკოლადის, ორცხობილისა და სხვა ტკბილეულის გემოს გრძნობდა და მათ ნამცეცებს პოულობდა. აღმოჩნდა, რომ ღამით დგებოდა, შედიოდა სამზარეულოში და ძილ-ბურანში მყოფი ჭამდა ნაყინს, ტორტს, ტკბილეულსა და ჩიფსებს, ერთხელ კი ღამის ასეთი ქეიფის შედეგად წონაში ერთბაშად სამი კილოგრამი მოიმატა.

როდესაც ასეთი შემთხვევები გახშირდა, ქალმა მეუღლეს სთხოვა, სამზარეულოს კარზე საკეტი დაეყენებინა, ღამით ჩაეკეტა და გასაღები დაემალა. ამან იმუშავა, თუმცა, როდესაც მისი მეუღლე სახლში არ იმყოფება და კარის ჩამკეტიც არავინაა, ის ღამით ისევ დგება და ჭამს.

ექიმებმა ბატაჩელის განუცხადეს, რომ მას უიშვიათესი აშლილობა აქვს – ღამით ჭამის სინდრომი, რომელიც ჩვეულებრივ ქალებს ემართებათ, ბრიტანელი ქალბატონის შემთხვევაში კი მას მთვარეულობა ამძიმებს.

# მამაკაცს თვითმფრინავით შხამიანი გველი გადაჰყავდა



ინდოეთის ჩენაის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს ტურისტი, რომლის ჩანთებში სიცოცხლისთვის სახიფათო და გადაშენების პირას მყოფი ცხოველები აღმოჩნდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. მგზავრს, რომელიც ინდოეთში ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკიდან ჩაფრინდა, სამგზავრო ჩანთებით გადაჰყავდა შხამიანი რქოსანი გველი კუფი, ორი იგუანი-მარტორქა, სამი ბეჭედკუდიანი იგუანი, 22 ეგვიპტური კუ, ოთხი ხვლიკი და სამი ბაყაყი. 22 წლის მოჰამად აბდულ მაჯიდი ადგილზევე დააკავეს, მის ჩანთებში მყოფ ცხოველებს კი უკან, ბანგკოკში გასაგზავნად ამზადებენ.

# გულუხვმა მამაკაცმა რესტორნის ოფიციანტებს ათასობით დოლარი დაურიგა

ამერიკის მენის შტატში რესტორნის მომხმარებელმა ოფიციანტებს ჯიბის ფულად საკმაოდ მოზრდილი თანხა დაუტოვა.

ერთ-ერთი ოფიციანტი გოგონას თქმით, რესტორანში ქალი და მამაკაცი სადილობდნენ, რომლებიც იქ ადრე არასოდეს უნახავთ. ისინი საკმაოდ თავაზიანად იქცეოდნენ და დაწესებულების თანამშრომლებს რაიმე სახის სირთულეები მათ საქმიანობისგან არ შეჰქმნიათ. მათმა დანახარჯმა 48 დოლარი შეადგინა.



სადილობის დასრულების შემდეგ მამაკაცმა თავისთან მენეჯერი იხმო. ოფიციანტი შიშობდა, რომ მას სურდა, საყვედური ეთქვა იმ ჭიქა ღვინის გამო, რომელიც შეცდომით მაგიდიდან აიღო. ამის ნაცვლად მამაკაცმა მენეჯერს ორი ათასი დოლარი გადასცა და სთხოვა, რომ თავისი თანამშრომლებისთვის გაენაწილებინა.

# გველმა ბავშვს ენაზე უკბინა

ინდონეზიის ქალაქ მაკასარში, რომელიც კუნძულ სულავესიზე მდებარეობს, გველმა ბავშვს ენაზე უკბინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო, რომელიც თვითმხილველმა გადაიღო, ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც რამდენიმე მოზარდი პატარა გველით ერთობოდა. ერთ-ერთმა ქვეწარმავალს სული შეუბერა, შემდეგ კი ბიჭს პირთან მიუტანა, რომელიც მის გვერდით იდგა და ენა ჰქონდა გამოყოფილი. გველის კბენამ ირგვლივ მყოფებში სიცილი გამოიწვია.



გველების უმრავლესობა, რომელიც კუნძულზე ბინადრობს, შხამიანი არ არის. კერძოდ, სულავესიზე შეხვდებით რამდენიმე ათეული სახეობის წყლის გველს, რამდენიმე სახეობის პითონს, ორი სახეობის წყნარი ოკეანის წყლის გველსა და ხუთი სახეობის უსინათლო გველს. თუმცა ასევე კუნძულზე შეხვდებით სამეფო კობრასა და ორი სახეობის გველგესლას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სოლსკიაერი: „ისეთ ისტორიას შევქმნი, როგორსაც გულშემატკივრები იმსახურებენ“

**დასაწყისი მე-9 გვერდზე**

არ მივიღებდი, რომ არ მჯეროდეს იმის, რასაც ვაკეთებთ. უბრალოდ მინდა, რომ ეს სამსახური შესაბამისად შევასრულო, ყველაფერში სამართლიანი ვიყო, სწორედ ეს ვუთხარი ჩემს თავს რამდენიმე თვის წინ, როცა ხელმძღვანელობისგან ზარი მივიღე და ახლა იმედია განვითარებას შევძლებთ.

***– ახლა შეგიძლიათ, რომ წინასასეზონო პერიოდი თავად დაგეგმოთ. დაკავებული გრაფიკი, ტრანსფერები, ჭორები... ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ ზაფხულში ხდება ხოლმე. ამაზე რას იტყვით? რამდენად აღელვებული ხართ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– ძალიან, რა თქმა უნდა. ყველა დღე გამოწვევაა, ყველა დღე გამოცდაა. ჯერ უოტფორდს უნდა დავუპირისპირდეთ, შემდეგ – ვულვზს. ეს 2 ყველაზე კარგი გუნდია ექვსეულს მიღმა. მოკლე პერსპექტივაში სწორედ ეს არის ჩემი პრიორიტეტი. შემდგომ კიდევ არის თამაშები, საზაფხულო ტრანსფერები, გუნდის გაძლიერების შესაძლებლობა, ფეხბურთელებთან საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიიღონ შემდეგი სეზონი. ამაზე ცოტას თუ ბევრს ვფიქრობდი, ეს იყო ჩემი იდეა, მაგრამ ახლა რეალურად მიწევს ამ გადაწყვეტილებების მიღება. ასე რომ, ვნახოთ.

***– წინ ძალიან დატვირთული ზაფხული გელით.***

– დიახ, ვიცი და ამისთვის მზად ვარ და ამას ველოდები. თუ ამისთვის მზად არ ხარ, თუ ეს არ გინდა, თუ ამ კლუბში მუშაობის ყველა ასპექტი არ გიყვარს, მაშინ არასწორ ადგილას ხარ. მოუთმენლად ველი აბსოლუტურად ყველა გამოწვევას.

***– რას იტყვით თქვენი ოჯახის შესახებ? ამაყობენ თქვენით? რამდენად მარტივი იქნება მათთვის აქ გადმოსვლა?***

– ბოლო რამდენიმე წელია, ნორვეგიაში ვცხოვრობთ და, რა თქმა უნდა, აქ გადმობარგება მათთვის მარტივი არ იქნება, მაგრამ ისინიც მოუთმენლად ელიან ამ ყველაფერს. ჩვენ თავდაპირველად შევთანხმდით, რომ 6 თვე ცალ-ცალკე ვიცხოვრებდით, ისინი ნორვეგიაში, ხოლო მე – მანჩესტერში. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვანაირადაა. ჩვენ სახლის აშენება ჯერ კიდევ 2007 წელს დავიწყეთ და, საბოლოოდ, 2019 წელს, იმედია, გადავალთ.

***– რას იტყვით პრესის შესახებ, მზად ხართ მასთან გასამკლავებლად?***

– ჰო, ეს რთული იქნება, განსაკუთრებით – გრძელვადიან პერსპექტივაში. შენ გაკრიტიკებენ, გაქებენ, თანაც ყოველდღიურად, ყოველკვირეულად... ყოველი წამი გამოცდაა, ყოველი წამი გამოწვევაა. ეს არ არის ადგილი, სადაც მშვიდად დაჯდები და დაისვენებ, მუდმივად ტონუსში უნდა იყო და ენერგია დახარჯო, რათა კლუბი განავითარო და მე ამისთვის მზად ვარ.

***– ამაყობთ საკუთარი თავით? თქვენ ხომ საბოლოოდ აისრულეთ დიდი ხნის ოცნება და ახლა ის პოზიცია გიჭირავთ, რომელზეც მთელი საფეხბურთო სამყარო ოცნებობს.***

– დიახ, რა თქმა უნდა, ახლა როცა ძველი სტატუსი აღარ მაქვს და მუდმივ მწვრთნელად ვიქეცი, სრულიად სხვა შეგრძნება მეუფლება. მე ბოლო წუთებამდე ვისიამოვნებ ამ ყველაფრით. ეს ფანტასტიკური შესაძლებლობაა.

# ასტროპროგნოზი

## 29 მარტისთვის



**ვერძი** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **კურო** – პასიურად ხართ. მოთმინება გმართებთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ტყუპები** – პოზიტიური პერიოდი გაქვთ. იდეების რეალიზაციაში ხელი არ გეშლებათ. მივლინებები, ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებულია. **კირჩხიბი** – მრავალ ხელსაყრელ პროექტს დიდი ძალისხმევის გარეშე ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ლომი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ქალწული** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **ღრიანკალი** – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – დეპრესიული პერიოდი გაქვთ. კარგი იქნება განმარტოება და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. **მერწყული** – მოვლენები თქვენთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდება. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ემოციები მოთოკეთ. **თევზები** – მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 3. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 5. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 6. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 8. ქართული ლუდი; 11. წყალმცენარეების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. შვედეთის, დანიისა და ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

**თარაზულად**: 1. ქართველი მილიარდერი, მეცენატი, ქველმოქმედი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 9. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 10. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. ლითონისკორპუსიანი ბარომეტრი; 12. იაპონიის ეროვნული ჰიმნი; 17. პლანეტათა მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე, სქელი წვენი; 20. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. ყატარის დედაქალაქი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

***შეადგინა თ.გოგინაშვილმა***



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟოლო; 2. შერპი; 3. იუნგა; 4. გარდა; 5. ალგეთი; 6. რიტორიკა; 8. სპიდომეტრი; 10. მელანქოლია; 11. ჩახრუხაძე; 14. ქიზიყი; 15. ფელინი; 16. პუშტუ.

**თარაზულად:** 1. ჟენშენი; 4. გრავიურა; 7. ლუვრი; 9. ჩალმა; 12. ჩითილი; 13. დიანა; 14. ქორქია; 17. მეტეხი; 18. ჩოლოყაშვილი; 19. დიოგენი; 20. ყურანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პრუსია; 2. სუმიდა; 3. „მონცა“; 5. რუხი; 6. სუძუკი; 8. სტამპა; 11. მურვანიძე; 13. პლატონი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. ლოსი.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. სუარესი; 7. უნიკუმი; 9. ცენტომი; 10. ამადუ; 12. ხამურაბი; 16. სამორინე; 17. ფარაონი; 18. ღრიანკალი; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

# ლადო ათანელი სკარპიას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მეასედ იმღერებს



მსოფლიოში ცნობილი ქართველი ოპერის მომღერალი ლადო ათანელი ჯაკომო პუჩინის ოპერაში „ტოსკა" სკარპიას პარტიას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მეასედ იმღერებს.

სპექტაკლის პრემიერა 5 აპრილს გაიმართება და ის ცისანა ტატიშვილს მიეძღვნება.

ლადო ათანელს სკარპია მსოფლიოს მრავალ საოპერო სცენაზე აქვს შესრულებული, მათ შორის პარიზში, ბერლინში, მადრიდში, ვენაში, მიუნხენში, ჟენევაში, ტოკიოში, სან ფრანცისკოში, ლოს ანჯელესში, ათენში, სტოკჰოლმში, ჰელსინკიში, აუგსბურგში, თბილისში, ტრიესტში, ლას პალმასში, ტურინში, ვისბადენსა და მანჰაიმში.

– პუჩინის ოპერა „ტოსკას" პრემიერაზე ყველაზე გამორჩეული იყო სკარპიას როლის შემსრულებელი ლადო ათანელი. ათანელი ბრწყინავდა თავისი ძლიერი, დიდებული და ფერადოვანი ხმით, ასევე თეატრალურად დამუშავებული სკარპიას სახის ინტერპრეტაციით. ტიტო გობის შემდეგ ამ პარტიის მსგავს დრამატულ განსახიერებას არ მოვსწრებივართ, – ასე აფასებს ლადო ათანელს უცხოური პრესა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გოგი გვახარია უსამართლოდ დააჯარიმეს

კინომცოდნე გოგი გვახარია უსამართლოდ დააჯარიმეს:

– ფრთხილად იყავით: ჩვეულებრივ გავემართე სამსახურში. ჩემი მარშრუტი ერთნაირია: უზნაძის ქუჩა, ელბაქიძის ხიდი, მელიქიშვილი, მოხვევა ფილარმონიასთან, „რუმსთან" ახვევა ჭოველიძეზე, მერე ბარნოვი, ტატიშვილი და სამსახური.

ფილარმონიასთან მოსატრიალებელი მოედანი პატრულმა გადაკეტა და მიმითითა, პირდაპირ წავსულიყავი, ანუ უწყვეტი ხაზი გადამეკვეთა.

შუადღეზე ლექციაზე ვარ და ვიღებ საჯარიმო სმს-ს თავისი ვიდეოთი. კამერამ, ცხადია, პატრული ვერ დააფიქსირა.

ვრეკავ 414242-ზე.. და კიო, მართალი ხარ, ბატონო გოგი, როგორც ყოველთვისო, ოღონდ აქ უნდა მოხვიდეო, განცხადება დაწეროო... მეთქი, სად? აეროპორტთან? მაგის დრო სად მაქვს-მეთქი. რა ვქნათ, ასეთი წესიაო.. ანუ 16-ლარიანი ჯარიმა არ გადავიხადო და ამდენი ბენზინი დავწვა, განცხადებები ვწერო და მოვცდე-მეთქი? და კიო, წესია ასეთიო.

ჰოდა, პატრული რომ დგას და წითელზე გვეუბნება, მიდი, ნუ ჩერდებიო, ამ შემთხვევაში რა ვქნათ? დამორჩილდები და ჯარიმას მიიღებ, არ დამორჩილდები და დაგიჭერენ.



იქით წახვალ, დაილუპები, აქეთ წახვალ, მაინც დაილუპები.

# მწერალი დინა მირცხულავა საქართველოდან წავიდა



მწერალი დინა მირცხულავა სამშობლოდან გადაიხვეწა. სამწუხაროდ, ის პირველი არ არის, ვინც საქართველო დატოვა.

ინფორმაცია ამის შესახებ მაია გოგსაძემ გაავრცელა:

– განადგურებული ვარ! ნუთუ ადამიანზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი რამე აქვს და ჰყავს ქვეყანას? თანაც ისეთ ადამიანზე, რომელიც უგონოდაა შეპყრობილი თავისი სამშობლოთი, ტყვიაზე წასულა მისთვის და უამრავი დევნა, დამცირება და გაჭირვება გადაუტანია. მერე პატარა ადამიანებმა ვერ აპატიეს ზეპატრიოტიზმი, ნიჭი, განათლება და გონიერება. დღეს სამშობლოდან გადაიხვეწა. კიდევ ერთი აგური გამოეცალა ქვეყნის საძირკველს. ღმერთმა ქნას, ბოლო...

მომხდართან დაკავშირებით დინა მირცხულავამ მოკლე კომენტარი გააკეთა:

– ტყვიაზე რომ მივდიოდი, ეგ არ მაპატიეს სწორედ.... იმიტომ, რომ მაგ ხელისუფლებას არ სჭირდება ერთგული ადამიანები... ზუსტად თქვა რომელიღაც პოეტმა: შენ, ერთგულებავ ძაღლისავ, რა მოგონილი რამე ხარ!

# პიცერიაში ვეგეტარიანულ პიცაში ხორცის ნაჭრებს მალავდნენ

ბრიტანელმა ვეგეტარიანელმა ჯეი პალმერმა დაიჩივლა, რომ პიცერია Domino's pizza-მ მას შეკვეთილ ვეგეტარიანულ პიცაში ქათმის ხორცისა და ძეხვის ნაჭრები ჩაუწყო, რომელიც ცომში იყო ჩამალული. ამის შესახებ პალმერმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა.

გოგონას თქმით, მან შეკვეთის დროს მიუთითა, რომ პიცა აუცილებლად ვეგეტარიანული უნდა ყოფილიყო, დაწესებულების თანამშრომლებმა კი ის დაარწმუნეს, რომ პიცაში ხორცს არ დაამატებდნენ. როდესაც მან შენიშნა, რომ მისი შეკვეთა არასწორად იყო შესრულებული, პიცერიაში დარეკა, თუმცა იქ მას მაშინვე არ დაუჯერეს. შეკვეთის შემოწმების შემდეგ მენეჯერმა გოგონას ბოდიში მოუხადა და შესთავაზა მისთვის პიცის საფასურის დაბრუნება, ასევე მისთვის ახალი პიცის მომზადება. ამაზე პალმერმა უარი



განაცხადა.

სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გოგონამ ყველას მოუწოდა, არ ენდონ Domino's pizza-ს. ასევე ის აპირებს, მიმართოს გარკვეულ ღონისძიებებს, რათა მომავალში პიცერიამ ვერ შეძლოს „ვეგეტარიანული ცხოვრების წესის დისკრიმინაცია". პალმერი აპირებს, სამომავლო ნაბიჯებზე ვეგეტარიანულ საზოგადოებასთან იმსჯელოს.

# ანრი ბიბინეიშვილი–ჯაყელი სატელევიზიო შოუებს გაუნაწყენდა



მსახიობი ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი სატელევიზიო შოუებს გაუნაწყენდა და მისი წამყვანები და პროდიუსერები საჯაროდ გააფრთხილა:

– მივმართავ ყველა სატელევიზიო შოუს, აღარ შემაწუხოთ არანაირ ...ლეურ თემებზე! ...ლეური თემებია, პრინციპში, უმეტესობა! მიხვდებით ისედაც. გმადლობთ, ნახვამდის!

რამე ამბიცია კი არ მაქვს, უბრალოდ, იქ არ მინდა ვიყო, სადაც თქვენ ხართ, ...რაკში! მანდ ისედაც დიდი ხანია ვართ და ჰა, ჰა, გამოვდივართ ვითომ და პაწა დეგვეწიეთ, „ნიჭიერებო". მართლა დავიღალე და მივხვდი, ბევრი „ქაქი" ვჭამე ბევრ „ქაქთან" საუბრით ერთ სტუდიაში. მე, ხელოვანი ვარ და თან „პერიფერიიდან" თქვენ მოგისმენთ გამოსულებს ჩამოსულები და ე, მანდ დაგვენ.რევა.

ღმერთო, მართლა გვესროლე, რაც გინდა, ის, ოღონდ გვესროლე! გთხოვ! გთხოვ, თორემ იქამდე მივყავართ რეალობას, ყველა საკითხში რომ ერთმანეთს ჩავხოცავთ, რადგან ერთმანეთის სიძულვილი უკვე გაგვიჯდა!

მჯერა, რომ მალე გამოვასწორებთ ყველაფერს და მართლა გულწრფელად გვეყვარება ერთმანეთი! რა ვიცი... „ნეტარ არიან მორწმუნენი".

# ლეოპარდმა დედის თვალწინ ხუთი წლის გოგონა მოკლა



ინდოეთის შტატ მახარაშტრაში ლეოპარდი ხუთი წლის გოგონას თავს დაესხა და მოკლა.

ბავშვი დედასთან ერთად ქალაქ პუნიდან 75 კილომეტრში მდებარე სოფელ საკორიში ბებიას სტუმრობდა. მტაცებლის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც სამივე საქონლისთვის საკვების მოსაზიდად სიმინდის ყანაში წავიდა. შორიახლოს ჩასაფრებული ლეოპარდი თავს დაესხა ხუთი წლის გოგონას, კბილები კისერში ჩაასო და წაათრია.

გლეხები გოგონას მისაშველებლად გაეკიდნენ მტაცებელს და ქვებისა და ჯოხების სროლით მოაშორეს ბავშვს. გოგონა სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მხოლოდ მისი გარდაცვალების დაფიქსირებაღა შეძლეს. ხელისუფლება ბავშვის მშობლებს კომპენსაციის სახით 1,5 მილიონი რუპიის გადახდას დაჰპირდა.

მეორე დღეს მტაცებელი ხაფანგში გაება, რომელიც სოფლის მახლობლად იყო დაგებული. ადგილობრივები კი ამტკიცებენ, რომ შემოგარენში კიდევ სამი თუ ოთხი ლეოპარდი შენიშნეს, რომლებიც თავს ესხმიან და ხოცავენ მათ ხბოებსა და ძაღლებს, რამდენიმე თვის წინ კი ერთ-ერთი ბიძასთან ერთად მოტოციკლით მიმავალ სტუდენტ გოგონას დაესხა თავს. საბედნიეროდ, გოგონა უმნიშვნელო დაზიანებებით გადარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გიორგი კელაპტრიშვილი პირველ სოლოკონცერტს გამართავს



მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის" მეორე სეზონის გამარჯვებული გიორგი კელაპტრიშვილი თავის პირველ სოლოკონცერტს გამართავს.

29 მარტს ბათუმში გიორგი კელაპტრიშვილი მსმენელის წინაშე წარდგება. მომღერალი ჯგუფ ,,ნიუტონთან" ერთად ცნობილ ქართულ სიმღერებს შეასრულებს. ახალი ვერსიების ავტორი კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძეა, რომელიც თავადაც იქნება სცენაზე.

გიორგი კელაპტრიშვილის პირველ სოლოკონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 30 ლარია.

# დემნა გვასალია ნარკოტიკის თემაზე კოლექციის გაკეთებას ფიქრობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***– პარიზში სივი პიცის ყუთით გაგზავნე.***

– ბელგიაში მოწყენილი ვიყავი, ვიფიქრე, რომ ცოტას გავერთობოდი. სხვათა შორის, გაამართლა, დამირეკეს და პარიზში სამუშაოდ მიმიწვიეს.

***– ლუი ვიტონში როგორ მოხვდი?***

– თვითონ დამირეკეს. ლუი ვიტონში ჰყავთ ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდებს აკვირდებიან. დამირეკეს და უკეთესი სამუშაო საათები, უფრო მაღალი თანამდებობა და ანაზღაურება შემომთავაზეს.

***– არჩევა რომ შეგეძლოს, ლუი ვიტონს აირჩევდი თუ ვეტმანს?***

– მე ხომ უკვე გავაკეთე ჩემი არჩევანი, როცა ლუი ვიტონიდან წამოვედი.

***– საკუთარი ბრენდის შექმნა გეგმაში გქონდა?***

– 32 წლის ვიყავი და გამიჩნდა საკუთარი ბრენდის იდეა. ლოგიკა არ არსებობდა, მაგრამ თითქოს ღმერთები მეუბნებოდნენ: „ახლა უნდა გააკეთო. ისეთ ასაკში ხარ, როცა შეგიძლია' ამიტომ ჩავდე ყველაფერი, რაც გამაჩნდა, დაახლოებით 100,000 ევრო.

***– ბალენსიაგას შემდეგ არ გიფიქრია, რომ ვეტმანს შეწყვეტ?***

– ოუ, არა! ვეტმანი ჩემი ცხოვრების პროექტია.

***– მომწონს, რომ ბევრ ბრენდთან გქონდა თანამშრომლობა. ჯუისი იყო ერთ-ერთი. შენთვის რას ნიშნავს ჯუისისთან კოლაბორაცია?***

– მიყვარს, ლოს ანჯელესს მახსენებს.

***– რასაც შენს ზაფხულო შვებულებასთან მივყავართ. მალე ლოს ანჯელესში მიდიხარ.***

– ერთი თვე იქ ვიქნები. დასავლეთ ჰოლივუდში ვიქირავე სახლი და მანქანა. მართლა საყვარელი სახლია აუზით. ცოტა მერილინ მონროს სახლს ჰგავს, გოიმურივით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სასიქადულო მამულიშვილი

**სანდრო (ტუხა) გერმანეს ძე სხირტლაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ამერიკის ქალაქი შხამიანი გომბეშოებით გაივსო

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქი პალმ-ბიჩ-გარდენსი გომბეშო აგას შემოსევას განიცდის.

ათასობით შხამიანი ამფიბია დაცოცავს ტროტუარებზე. ისინი იჭედებიან აუზების მილებში და საფრთხეს უქმნიან შინაურ ცხოველებს. სპეციალისტები ამას უჩვეულოდ თბილ ამინდს უკავშირებენ.



– ზამთარი ჩვეულებრივზე თბილი იყო, შემდეგ ორი თუ სამი კვირის წინ კოკისპირული წვიმები მოდიოდა, რამაც გომბეშოებს გამრავლების დაწყებისკენ უბიძგა, – აცხადებს მავნებლებთან ბრძოლის კომპანიის წარმომადგენელი მარკ ჰოლედეი. ის ვარაუდობს, რომ 22 დღის შემდეგ ახალი გომბეშოები გაჩნდებიან და მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

გომბეშო აგა ადგილობრივი მკვიდრი არ არის და ის ცენტრალური და სამხრეთ ამერიკიდან იქნა შეყვანილი ფლორიდაში. ისინი სიგრძეში 24 სანტიმეტრამდე, ხოლო წონაში კილოგრამამდე აღწევენ. საფრთხის შემთხვევაში ისინი შხამიან სუბსტანციას გამოყოფენ, რომელიც იწვევს კრუნჩხვებს, დამბლასა და სიკვდილს ცხოველებში, ხოლო ჰალუცინაციებს – ადამიანებში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

29 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6956 |
| ევრო | — 3.0412 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.5574 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.1594 |

## ამინდის პროგნოზი 29 მარტისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




**26 მარტიდან**

იროდიონ ევდოშვილი

**რჩეული მოთხრობები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

**22 მარტიდან**

იაკობ გოგებაშვილი

**შემეცნებითი მოთხრობები**

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




**29 მარტიდან**




ოტია იოსელიანი

**ქალი გამოვიდა სალალატოდ**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ქალმა ტყუპები ორი სხვადასხვა მამაკაცისგან გააჩინა



ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის ქალაქ სიამინში ქალს ტყუპები ორი სხვადასხვა მამაკაცისგან შეეძინა.

ამის შესახებ დნმ-ს ტესტის ჩატარების შემდეგ გახდა ცნობილი, რომელიც ახალდაბადებულთა რეგისტრაციის დროს პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა. მან აჩვენა, რომ ქალის მეუღლე მხოლოდ ერთი ბავშვის მამა იყო. მამაკაცმა ისიც შეამჩნია, რომ ერთ-ერთი ტყუპი მას საერთოდ არ ჰგავდა, ხოლო ტესტმა ეს ყოველივე მხოლოდ დაადასტურა.

ქმარი შეეცადა, მეუღლისგან ახსნა-განმარტება მიეღო, მაგრამ მან ბრალდება უარყო და ეჭვი გამოთქვა, რომ მან ტესტის შედეგები გააყალბა. მოგვიანებით ქალმა აღიარა, რომ მეუღლეს ერთხელ სხვა მამაკაცთან უღალატა, რომელიც მისი მეორე ტყუპის მამა გახდა.

აღსანიშნავია, რომ ორი სხვადასხვა მამაკაცისგან ტყუპების ჩასახვა განსაკუთრებულად იშვიათ ფენომენს წარმოადგენს. სხვადასხვა შეფასებით, ამის ალბათობა ერთიდან 13 ათასამდეა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

— შენი ქმარი სამსახურში დადის?

— კი, დადის.

— სწორია! არც მე ვაძლევ ჩემ ქმარს გზის ფულს.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე.

— რატომ?

— შენ ხვრინავდი, ძაღლი კი ყეფდა!

— აბა რა გინდოდა, მე მეყეფა და ძაღლს ეხვრინა?!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, ამ დილით ჩვენს ოჯახურ აფთიაქში ვიქექებოდი და მივხვდი, რომ მე და შენ ამ ცხოვრებაში მხოლოდ ორი მიზანი გვაქვს!

— რა მიზანი?

— როგორ დავმშვიდდეთ და არ ჩავისვაროთ!

●●●

ქალიშვილი მამას ურეკავს და ეუბნება:

— მამიკო, მომიტაცეს, სადღაც მივყავარ მანქანით და ვიღაცას უნდა მიმათხოვონ, მიშველე!!!

— რომელი მანქანით მიყავხარ?

— მგონი ბენტლი კონტინენტალ ტურბო რტ 2017 წლის.

— შვილო, ბედნიერებას გისურვებ, მეც და დედაშენიც გახარებულები ვართ!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ახლა დავრწმუნდი, რომ ყველა მამას ცხოვრებაში დგება ბედნიერი მომენტი...

— რა მოხდა?

— რა და გუშინ შვილმა დამირეკა და მეკითხება: „მამი, ლუდი რამდენი წამოგიღო?“

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— აი, ხედავ, ძვირფასო, სასწაულებიც ხდება! დღეს შაბათი საღამოა, მე კი ფხიზელი ვარ!

— არ მინდა, გული გაგიტეხო, მაგრამ დღეს უკვე სამშაბათია!

●●●

ავადმყოფი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, როგორია ჩემი მდგომარეობა?

— ახლავე გეტყვი, — უპასუხა ექიმმა და მცირე პაუზის შემდეგ ეუბნება, — 10050 ლარი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნა გვასალია ნარკოტიკის თემაზე კოლექციის გაკეთებას ფიქრობს



— თბილისში არეულობის დროს მყავდა მეგობრები, რომლებიც სახლიდან ნივთებს ყიდდნენ, რომ ნარკოტიკი ეყიდათ. ნარკოტიკიც ადვილად იშოვებოდა. იყო იმ დროში რომანტიკა. არ ვამბობ, რომ კარგი იყო, რაც ხდებოდა, უბრალოდ, ესთეტიკა იყო, რაც მომწონდა. შემიძლია, ამ თემაზე კოლექცია გავაკეთო. ვშიშობ და თავს ვიკავებ, რადგან ევროპისთვის მძიმედ მისაღები იქნება, — ამბობს დემნა გვასალია უცხოელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში და მსოფლიოს მოდის ახალი სენსაციისთვის ამზადებს.

ქართველი დიზაინერი ერთ-ერთ უცხოურ გამოცემას მისთვის საინტერესო თემებზე ესაუბრა:

***— ბავშვობის ცუდი მოგონება?***

— ერთხელ ბიჭისგან სასიყვარულო წერილი მივიღე.

***— მაგას ცუდ მოგონებას ვერ ვუწოდებთ.***

— ვითარება უნდა გაიაზრო. საქართველოში მაშინ დიდი დრამა იყო და ახლაც ასეა.

***— რა გააკეთე?***

— ვცემე.

***— გეებს ურტყამდი მაშინ, როცა თავადაც ბიჭები მოგწონდა?***

— კი. დამიჯერეთ, ადვილი არ ყოფილა. ღმერთო, ახლაც მაცხელებს, როცა მახსენდება.

***— 20 წლის შემდეგ ჩვენება გეიკლუბში გამართე.***

— მაგის შემდეგ ბევრი წელი გავიდა, მივიღე საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ვარ.


გაგრძელება მე-11 გვერდზე


## მოურინიო, შესაძლოა, რომელიმე ფრანგულ გუნდში ვიხილოთ



მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი თავკაცი ჟოზე მოურინიო ამჟამად უგუნდოდ არის, თუმცა ის ხშირად საუბრობს იმაზე, რომ შესაძლოა, მალე დიდ ფეხბურთში დაბრუნდეს.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მოურინიომ განაცხადა, რომ მას საფრანგეთის ჩემპიონატში სურს ძალების მოსინჯვა. ყველაზე რეალური ვარიანტები მონაკო ან ლიონია, სადაც მომავალ წელს, შესაძლოა, ახალი მწვრთნელი ვიხილოთ.

თუ გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, მაშინ ლიონი არ არის წინააღმდეგი, რომ მოურინიო საკუთარ გუნდში იხილოს.

## პსჟ კილიან მბაპეს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს




ბოლო პერიოდში ხშირია იმაზე საუბრები, რომ რეალს სურს კილიან მბაპეს შეძენა. ეს რომ არ მოხდეს, პსჟ მბაპესთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს, რომლის თანახმადაც, ახალგაზრდა ფრანგ ფეხბურთელს წლიური ანაზღაურება 40 მილიონი ევრო ექნება.

ჯერჯერობით ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ პსჟ-ს შეუძლია ასეთი ანაზღაურების შეთავაზება.

წლევანდელ სეზონში მბაპე პსჟ-ს საუკეთესო ბომბარდირია და ნეიმარის არყოფნაში ის გუნდის ლიდერი გახდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გერმანელი მეცნიერი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. თანავარსკვლავედის ქართული სახელწოდება; 3. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 4. ბრინჯისგან მომზადებული კერძი; 5. არქიტექტურული პროექტის, ნახატის წინასწარი მონახაზი; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობითი გაუარესება, დაქვეითება; 10. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილების მქონე ადამიანი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 14. ფეხბურთელთა გუნდი ბრაზილიაში; 15. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 16. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი.

**თარაზულად**: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. ჭაობის ორთქლი; 9. სანახაობითი, გასართობი დაწესებულება; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 13. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 14. დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითი ტიტული ესპანეთში ძველად; 17. მოყვითალო სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 18. გეომეტრიის ნაწილი; 19. საარტილერიო ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

